# ცისკარი

4
1965

140
1965



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ენგურჰესი საქართველოს კომკავშირის შრომითი გმირობის ასპარეზია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა «თეთრი ნახშირის» რესურსებით. კავკასიონის თავშევერცხლილი მწვერვალებიდან ბარისაკენ მოედინებიან წყალმცირე, მაგრამ მქუხარე და ფაფარაყრილი მდინარეები, რომლებიც იაფი ენერგიის შესანიშნავ წყაროს წარმოადგენენ. ამიტომ იყო სწორედ, რომ პირველი საბჭოთა ელსადგური საქართველოში აიგო,—ეს იყო ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური.

გადიოდა წლები, საქართველოში სულ ახალი და ახალი, მძლავრი ელსადგურები შენდებოდა. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე სწრაფად იზრდება...

ახლა ქართველმა მშენებლებმა ენგურს შეუტიეს—ჯვარის ვიწრო ხეობა რკინა-ბეტონის კაშხალით ჩაიკეტება. ჩვენში ბევრია მაღალმთიანი კაშხალი, ბევრ თქვენგანს ალბათ უნახავს კიდეც ლაჯანურის, გუმათის, სიონის კაშხალი, მაგრამ ენგურის კაშხალს მსოფლიოში სარეკორდო სიმაღლე ექნება—300 მეტრი!

ენგურჰესი მარტო კაშხალის სიმაღლით როდი გამოირჩევა,—იგი უნიკალური და რთული ნაგებობაა; რთულ გეოლოგიურ პირობებში უნდა გაიყვანონ უზარმაზარი დიამეტრის გვირაბები, რომელთა საერთო სიგრძე 20 კილომეტრი იქნება. ელექტროსადგურის ნაგებობა მთლიანად მიწისქვეშ იქნება აგებული. ენგურჰესი ერთი-ორად მეტ ენერგიას მოგვცემს, ვიდრე საქართველოს მთელი ახლანდელი ენერგეტიკული სისტემა.

ენგურის მშენებლობა მოითხოვს ახალგაზრდობის მზრუნველ ხელს, კომკავშირულ ენერგიასა და მგზნებარებას. საქართველოს ახალგაზრდობას კარგად ესმის ეს, და რესპუბლიკის ყველა კუთხიდან დაიძრნენ მშენებლობისაკენ ენთუზიასტები. საქართველოს კომკავშირმა შეფობა იკისრა. გავა რამდენიმე წელი და ბევრი თქვენგანი, გავშვებო, ალბათ თვითონვე ჩაებმება ამ შესანიშნავი ელექტროსადგურის მშენებლობაში, მით უმეტეს, რომ იქვე, მშენებლობასთან ჩამოყალიბდა პროფტექნიკური სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფილიალი, რომლებიც სპეციალისტებს მოამზადებენ.

მაგრამ, სანამ შენ ჯერ კიდევ მერხს უზიხარ და შენს უფროს ძმებს და მამებს ვერ ამოუდგები გვერდით, შეისწავლე რომელიმე ხელობა—შეიყვარე შრომა, რაზმეულთან ერთად მონაწილეობა მიიღე ენგურჰესზე ექსკურსიებში, გაეცანი ამ დიდებული მშენებლობის ადამიანებს, შენს ამხანაგებთან ერთად აჩვენე მათ თქვენი თვითმოქმედება.

გახსოვდეთ, რომ ის, რაც დღეს კეთდება, ხვალ თქვენს ხელში გადმოვა, თქვენ მოიმკით მის ნაყოფს და თქვენვე იქნებით მისი ბატონ-პატრონნი!

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



9768





**ზაურ ბოლქვაძე**

ბავშვებო, ალბათ, ნახავდით,
არის ასეთი ნახატი:

...შუბლზე მუქგადაფენილი,
მზისკენ მარჯვენაგაწვდილი,
დგას ტრიბუნაზე ლენინი—
რევოლუციის არწივი;
და ამბობს: გლეხებს—მიწები!
მუშებს—ფაბრიკა-ქარხნები!
საბჭოებს—ძალაუფლება!
ოქტომბრის ქარით ირწევა
ტყე წითელ ბაირაღების,
დგას დიდებული წუთები!..

არის ნახატი მეორე:
„ლენინი ჯარისკაცებთან".
...ქუდით ხელში დგას ილიჩი,
საბრძოლო ჯავშნოსანზე დგას
და მოუწოდებს მეომრებს,
ინტერვენტების საქლეტად.
შვილებს მამების ანდერძის
მგზნებარე სიტყვებს ახსენებს:
— სამშობლო არის საფრთხეში,
მტერი აკაფეთ, აცელეთ!..
ცეცხლი უელავთ თვალებში
სამშობლოს მამაც დამცველებს.

...ხალხით გაჭედილ დარბაზში
ირწევა ხელი ათასი,
დიდი ლენინი საბჭოთა
ხელისუფლებას აცხადებს,
კითხულობს პირველ დეკრეტებს,—
არის ასეთი ნახატიც.

კიდევ ასეთი ნახატიც
გემახსოვრებათ, ბავშვებო:
ზის ლენინი და ნორჩების
გუნდი ეხვევა გარშემო...
ბავშვებს უღიმის ილიჩი
ღიმილით უნეტარესით,
დიდი ბელადის ღიმილში
ღვივის სითბო და ალერსი
და ძველი მუშის შვილიშვილს
სხივები უკრთის თვალებში.

და იზრდებოდნენ ბავშვები
ლენინის ბრძნული აზრებით,
იბადებოდნენ პირველი
პიონერული რაზმები,
მომავალ დღეთა გმირები,
მომავლის ჯარისკაცები.

ლენინის დროშით ხვდებოდნენ
დიდების ყოველ განთიადს,
მტერს მკერდით ეგებებოდნენ,
პატაკს აძლევდნენ პარტიას,
რომ მტერი გაანადგურეს
და გამარჯვება მათია!

კოსმონავტებს რომ ზეიმით
ვეგებებოდით მოსკოვში,—
მზეობდა სახე ლენინის
ვარდ-ყვავილების კოცონში
და ამაყობდა ილიჩი
დამორჩილებით კოსმოსის!

დიახ! ლენინი ცოცხლობდა,
ცოცხლობს და მარად იცოცხლებს!
გახსოვდეს, ლენინელი ხარ,—
შენ პიონერი გქვიოდეს,
სწავლა, სწავლა და სწავლაა
მთავარი, უნდა იცოდე!

მხატვარი ვაჟა მელიქიშვილი



# დედის გული

რამდენიმე ამბავი მარია ალექსანდრეს ასული ულიანოვას ცხოვრებიდან*

ზ. ვოსკრესენსკაია

მხატვარი პ. პინკისევიჩი

## სავიზიტო კაბა

მთელი სამი დღე გადაუღებლად წვიმდა. ყვავილები უღონოდ ჩაიკეცნენ ბუჩქებში. ჩიტები დადუმდნენ. ადიდებული მდინარის ტალღები ზედ მესერთან ტყლაშუნობდა.

ავდარმა და წუხილმა გათანგეს პატარა, ძელური სახლი.

სულ ცოტა ხნის წინ კი ივლისის ცხელი დღეები იდგა. სახლშიც საერთო მხიარულება სუფევდა. ულიანოვების ოჯახი სანუკვარ სტუმარს — ვლადიმერ ილიას ძეს ელოდა. მარია ალექსანდრეს ასულმა ეს ოქროსფერი სახლი მოსკოვის მახლობლად, მდინარე კახრის პირას დაიქირავა. სამი ფანჯარა გზისკენ იყურება. სახლსუკან დიდი ბაღია. ბაღის კუთხეში ფანჩატურია, ფანჩატურის წინ — კროკეტის მოედანი. „ვალოდიას აქ ყვილაფერი სიმბირსკს, ბავშვობას გაახსენებს“, — ფიქრობდა დედა.

ვლადიმერ ილიას ძე რამდენიმე თვის წინ დაბრუნდა ციმბირის სამწლიანი გადასახლებიდან. პოლიციამ მას სამრეწველო ცენტრებში ცხოვრება აუკრძალა. ლენინი ფსკოვში დასახლდა, რათა ახლო ყოფილიყო რევოლუციურ პიტერთან. სულ მალე, ამ ძველი ქალაქიდან რუსეთის ყველა კუთხეში გაიბა მუშათა წრეებთან, რევოლუციონერებთან დამაკავშირებელი ძაფები. ჯერ კიდევ გადასახლებაში, სოფელ შუშენსკოეში შეიმუშავა ლენინმა საერთო რუსული გაზეთის დაარსების გეგმა. გაზეთი გააერთიანებდა რევოლუციურ წრეებს, მოამზადებდა საფუძველს მუშათა პარტიის შექმნისათვის.

ვლადიმერ ილიას ძე თავისიანებს შეჰპირდა, რომ ესტუმრებოდა მათ პოდოლსკში. მაგრამ აი, მოვიდა შემაშფოთებელი ამბავი: ვლადიმერ ილიას ძე კვლავ დააპატიმრესო. უკვე მეორე კვირაა, პეტერბურგში, შპალერის ქუჩაზე, ციხეში ზის. დედამ ვერ გაუძლო ამ ახალ მწუხარებას და ლოგინად ჩავარდა. ამიტომაა ასეთი სიმძიმილი პატარა სახლში, ამიტომ აფორიაქებია გული ყველას.

ანა ილიას ასული, მარია ილიას ასული და დიმიტრი ილიას ძე სასადილო ოთახში სხედან. ელოდებიან — რას იტყვის ექიმი. თან ხმადაბლა ბჭობენ, როგორ გამოიხსნან ციხიდან ძმა. დიმიტრი ილიას ძე სამედიცინო ჟურნალს ფურცლავს, — ეძებს ისეთ საშუალებას, რომელიც დედას გამოაკეთებს.

ექიმი ლევიცკი გამოვიდა მარია ალექსანდრეს ასულის ოთახიდან. სამივენი წამოდგნენ მის შესახვედრად.

— რას გვეტყვით, ექიმო,—ჰკითხა ანა ილიას ასულმა, — რა განკურნავს?

— საშიში არაფერია! — მიუგო ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძემ, — განკურნავს — გასეირნებები, სუფთა ჰაერი. თუ აღელდება, — მხოლოდ სასიხარულო ამბავმა უნდა აღელვოს.

— კი მაგრამ, დედას ავადმყოფი გული აქვს, — მან იმდენი რამ გადაიტანა! — თქვა მარია ილიას ასულმა.

— თანაც სამოცდახუთ წელს თავისი მიაქვს, — შენიშნა დიმიტრი ილიას ძემ.

ექიმმა წვერი მოიწიწკნა, დააცქერდა ჟურნალს, დიმიტრი ილიას ძეს რომ ეჭირა ხელში, და გაიღიმა.

— ძვირფასო კოლეგა, — თქვა მან, — დედის გული ჯერ არც ერთ სამედიცინო ჟურნალში არაა აღწერილი, მისი ძლევამოსილების საიდუმლოებანი ჯერ არავის ამოუხსნია. სიხარულის საკმაო დოზა კი — უებარი წამალია მისთვის. დიახ. დედათქვენს წამოდგომის ნება დავრთე. ხვალ ისევ ვინახულებ. მაქვს პატივი გამოგეთხოვოთ!

დები დედის ოთახისკენ გაეშურნენ. მაგრამ დედა თვითონ გამოეგება მათ. იგი გაფითრებულიყო, თუმცა ისევ მხნედ გამოიყურებოდა.

— დედიკო. როგორა ხარ?

— გაცილებით უკეთ, — მიუგო მარია ალექსანდრეს ასულმა, — და დღეს პეტერბურგს მივდივარ.

— რას ამბობ, შენ ხომ ავადა ხარ! — შესძახეს დებმა.

— უკვე მოვმჯობინდი. მე არ შემიძლია, გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ვიცადო. თხოვნას შევიტან ჟანდარმთა სამმართველოში. იქნებ რაიმე ეშველოს ვალოდიას. მიტენკა, გეთაყვა, სადგურზე წადი და მესამე კლასის ბილეთი მიყიდე პეტერბურგამდე. ოღონდ, უკეთ ჩაიცვი. მთავარია, ფეხები არ დაგისველდეს.

სამივე შვილმა იცოდა, — რაკი გადაწყვიტა, დედა წასვლას არ დაიშლიდა. მხოლოდ იმასღა ცდილობდნენ, მეორე კლასის ვაგონით მგზავრობაზე დაეყოლიებინათ.

— არა, არა! ფულს უნდა მოვუფრთხილდეთ. შეიძლება ვალოდიას ვექილი დასჭირდეს. ანეჩკა. მომიწესრიგე სავიზიტო კაბა, მე კი წავალ და საკვოიაჟს გავამზადებ.

დიმიტრი ილიას ძე სადგურზე წავიდა. ანა ილიას ასულმა კარადიდან გამოიღო სავიზიტო კაბა და საყელოს მორგებას შეუდგა. „ლამაზია დედიკოს საბრძოლო მუნდირი“, — გაიფიქრა მან სიყვარულით.

არა დარბაზობებისათვის, არამედ ჟანდარმთა სამმართველობის, გენერალ-გუბერნატორების, სამინისტროების მისაღებ ოთახებში შესასვლელად შეიკერა ეს კაბა დედამ.

ამ კაბას მარია ალექსანდრეს ასული მხოლოდ მაშინ

* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

იცვამდა, როცა მის რომელიმე შვილს ხიფათი შეემთხვეოდა. მხოლოდ ამ კაბამ იცის, როგორ სცემდა დედის გული. როცა ისმენდა ყინულივით ცივ სიტყვებს: „თქვენს თხოვნას უარი ეთქვა". თითქოს სულ გაჩერდა გული. როცა კანცელარიის უფროსმა განზე ისროლა დედის თხოვნა, მისი შვილის — ალექსანდრეს შეწყალების შესახებ. გულისცემა თითქოს სულ შეწყდა, როცა პასუხად დედის თხოვნისა — ვლადიმერ ილიას ძისათვის გადასახლება რომელიმე ცენტრალურ გუბერნიაში გასახლებით შეეცვალათ, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა ბოროტად წაისისინა: „ერთი შვილი ხომ ჩამოგიხრჩვეს, მეორესაც — თოკი დაეძებს". მხოლოდ წამით შეწყვიტა გულმა ცემა, შემდეგ კი ისევ მძლავრად აძგერდა. და დედის ბაგეებმა წარმოსთქვეს: „მე ვამაყობ ჩემი შვილებით". კრიჭაშეკრული ისმენდა დედა უარს მისი შვილის — დიმიტრის ციხიდან განთავისუფლების თხოვნაზეც...

რამდენჯერ მიუხლიათ მისთვის პირში: „თქვენი შვილი ჩამოახრჩეს". ღრმა ჭრილობას თითქოს ნემსით ჩხვლეტდნენ! მაგრამ დედა ამ დროს, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი მოძრაობით, საყელოს შეავლებდა ხელს, გეგონება ერთბაშად მოუჭირაო, და ყოველთვის მტკიცედ იმეორებდა: „მე ვამაყობ ჩემი შვილებით".

იგი არასოდეს არ იკრეფდა გულხელს და არც სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ოდნავ მოცახცახე ხელით ისევ და ისევ წერდა თხოვნას; წერდა ისე, როგორც მაშინ იყო მიღებული: „მოწყალეო ხელმწიფევ! მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ..." რამდენი ასეთი თხოვნა ინახება ჟანდარმთა სამმართველოების არქივებში! რამდენჯერ ჩაუმალავს ცრემლით დასველებული ცხვირსახოცი კაბის ღრმა ჯიბეში, როცა შინ მობრუნებულს თავისი სახლის კარები შეუღია!..

მარია ილიას ასული დედას ჩალაგებაში ეხმარებოდა, თან შეშფოთებული უყურებდა მის დამჭკნარ, გაფითრებულ სახეს. „როგორ იმგზავრებს დედა მარტოდ-მარტო? იქნებ ვთხოვოთ ექიმ ლევიცკის, თან გაჰყვეს როგორც „შემთხვევითი" თანამგზავრი? ან იქნებ, ერთხელ კიდევ ვცადოთ და გადავათქმევინოთ წასვლა?"

წინკარში ზარი აწკრიალდა. მოისმა ხმაური, სიცილი... და უეცრად, გრიგალივით შემოიჭრნენ ოთახში დიმიტრი ილიას ძე და ვლადიმერ ილიას ძე.

— დედი! შეხედე, ვინ მოვიდა!

მარია ალექსანდრეს ასული წამოდგა და შვილისაკენ გაემართა.

— ვალოდიუშკა, ვალოდიუშკა! თავისუფალი ხარ? ჯანმრთელად ხარ?

— ზეჯანმრთელად! სრულიად თავისუფალი და უზომოდ ბედნიერი ვარ. — ვლადიმერ ილიას ძემ სველი პალტო ძმას მკლავზე გადაუგდო და დედას მოეხვია.

— ვალოდენკა, ძამიკო, ნუთუ ეს ნამდვილად შენა ხარ? — არ უსვენებდა ძმას მარია ილიას ასული.

— ანეჩკა. გეთაყვა, წაიღე ჩემი სავიზიტო კაბა, — სთხოვა მარია ალექსანდრეს ასულმა.

— უდიდესი სიამოვნებით! — შესძახა ანა ილიას ასულმა და კაბა ისევ დაკიდა კარადაში, თან ისე მჭიდროდ მიუხურა კარი, თითქოს ეშინოდა — ეს კაბა კვლავ არ შემოჭრილიყო მათ ბედნიერ ცხოვრებაში.

სახლში საერთო სიხარული გამეფდა.

— მოდი, ერთი კიდევ გაკოცო, — მოეხვია ძმას ანა ილიას ასული.

ვლადიმერ ილიას ძემ დედა ფრთხილად დასვა დივანზე და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— რა კარგია შინ! პირდაპირ საოცნებო რამაა! წარმოდგენილი მაქვს, რარიგ ლამაზი იქნება აქაურობა მზიან ამინდში.

— აქ ავდარშიაც მყუდროებაა, — თქვა ბედნიერმა დედამ.

— აბა, ვალოდიოკ, გვიამბე, როგორ დააღწიე თავი ციხეს, როგორ ჩავარდი, — სთხოვა ანა ილიას ასულმა.

— ჩავედი პიტერში და... კუდით გავები, — გაიცინა ვლადიმერ ილიას ძემ. — როცა ჟანდარმებმა ხელი მტაცეს, უპირველეს ყოვლისა, ჯიბეების დაცარიელება მინდოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ორმა ბრგე ვაჟკაცმა ხელები ზურგს უკან გამიკრა, მესამე კი ფხიზლად მადევნებდა თვალს — რამე არ დამელეჭა და არ გადამეყლაპა. ჩემს ჯიბეებში კი პირდაპირ სეიფი იყო: ორი ათასი მანეთი დეიდა კალმიკოვასაგან, გაზეთისათვის; კარგა მოზრდილი წერილი პლეხანოვისადმი, რომელშიც იყო გაზეთის დაარსების დაწვრილებითი გეგმა; ჯიბეში მქონდა აგრეთვე შიფრები, ფარული ადგილებისა და კონსპირაციული ბინების მისამართები.

— ოი, შეიძლება შიშისაგან გათავდე კაცი! — მოიბუზა მარია ილიას ასული.

— მაგრამ! — ვლადიმერ ილიას ძემ თითი აწია, — ყველაფერი ეს დაწერილი იყო რძით, ლიმონმჟავათი და სხვა რამეებით. დაწერილი იყო სხვადასხვა ანგარიშების სტრიქონებს შორის. ვზივარ საკანში და ვფიქრობ: მოისაზრებენ თუ არა ჟანდარმები, რომ ამ ანგარიშებს ცხელი უთო უნდა გაუსვან ზედ? წარმოიდგინეთ, — ვერ მოისაზრეს. აი, ღვთის გლახები! ათი დღის შემდეგ მიძახებენ და მკაცრზე-უმკაცრესად მეუბნებიან, რომ პიტერსა და კიდევ სხვა სამიც ქალაქში უნებართვოდ ჩასვლა მეკრძალება. დამიბრუნეს მთელი ჩემი ქონება და თვით საზღვარგარეთის პასპორტიც კი.

— შენ რა, ვალოდიუშკა, საზღვარგარეთ მიდიხარ? — ჰკითხა მარია ალექსანდრეს ასულმა ჩუმი გულისტკივილით.

— ჰო, დედი, გერმანიაში, — ვლადიმერ ილიას ძე წამოდგა, კარებს რაზა გაუყარა, ფანჯარა მჭიდროდ მიხურა და განაგრძო: — რუსეთში გაზეთის გამოცემა არ შეიძლება, პოლიცია სუნს აიღებს და, მორჩა... გერმანიაში დავბეჭდავთ და ფარული გზებით რუსეთში შემოვგზავნით.

— რა ერქმევა იმ გაზეთს? — ჰკითხა ანა ილიას ასულმა.

კარლ მარქსის შემდეგ თავისი მოძღვრებითა და შრომებით, თავისი მუშაობითა და ბრძოლით არავის არ მოუხდენია ისეთი გავლენა კაცობრიობის ბედზე და მსოფლიოს სახის შეცვლაზე, როგორიც ლენინმა მოახდინა. კარლ მარქსის შემდეგ არავის არ მოუპოვებია თავისი სამშობლოს და მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ისეთი უსაზღვრო ნდობა და სიყვარული, როგორიც ლენინმა მოიპოვა.

ვილჰელმ პიკი

— „ისკრა“! — წამოიძახა ვლადიმერ ილიას ძემ. — კარგია? „ნაპერწკლიდან ალი აინთება“ — გახსოვთ?

— კი, კი. — გაიღიმა მარია ილიას ასულმა, — ეს — პუშკინისადმი დეკაბრისტების წერილიდანაა.

— ხელი მოგემართოთ! ხელი მოგემართოთ! — წყნარად თქვა დედამ.

მარია ალექსანდრეს ასული იჯდა და ყურს უგდებდა შვილების საუბარს.

— ჩვენ მოვაწყობთ დიდ კონცერტს, — უხსნიდა ვლადიმერ ილიას ძე დედას, — ეს კონცერტი მთელ რუსეთში უნდა ახმიანდეს.

ვლადიმერ ილიას ძე უკვე იყო რიგაში, სმოლენსკში, პიტერში, მოსკოვში და ყველგან შექმნა გაზეთის დასაყრდენი პუნქტები.

— აი, რომ შევძლებდე წასვლას ვოლგაზე, — სამარაში, ნიჟნიში... შევუხვევდი სიზრანში, უფაში ნადიუშას გავუვლიდი...

— მოგენატრა? — ჰკითხა მარია ალექსანდრეს ასულმა.

— ძალიან! — გულწრფელად აღმოხდა ვლადიმერ ილიას ძეს, — ეს ხომ ჩვენი პირველი განშორებაა. ძალიან მინდა უფელი ამხანაგები გავიცნო, ვოლგაზე კოცონები ავანთო: სწორედ „ისკრამ“ უნდა ააგიზგიზოს ისინი.

— რომ ითხოვო ცოლთან წასვლის ნება?

— უკვე ვითხოვე. გადაჭრით უარი მითხრეს, — ამოიოხრა ვლადიმერ ილიას ძემ.

წვიმა შეწყდა, ვლადიმერ ილიას ძემ ფანჯარა გამოაღო.

— მოდი, ბაღი დავათვალიეროთ, — შესთავაზა მან. დედას. — ოღონდ, კალოშები და პალტო ჩაიცვი.

შვილის მკლავს დაყრდნობილი მარია ალექსანდრეს ასული კიბეს ჩაუყვა.

— რა ლამაზია აქაურობა! სიმბირსკს მაგონებს! — იძახდა აღტაცებული ვლადიმერ ილიას ძე, — მე აქ დავიბარე ამხანაგები, ჩვენს საქმეებზე მოსათათბირებლად. მათ ჩამოსვლამდე მე და შენ სულ ერთად ვიქნებით, წერაზეც კი ხელს ავიღებ.

მარია ალექსანდრეს ასული სდუმდა, იგი სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

— მგონი მოვიფიქრე, ვალოდიუშკა, თუ რა გზით შეიძლება ნახო ნადია და ის კოცონები, ვოლგაზე.

— რა. რა მოიფიქრე, დედიკო?

— მე უნდა გავიცნო რძალი, — განაგრძობდა მარია ალექსანდრეს ასული.

— ნადია? — გაოცდა ვლადიმერ ილიას ძე, — შენ ხომ იცნობ მას.

— კი, მაგრამ საიდუმლო პოლიციამ არ იცის ეს, შენ ხომ გადასახლებაში დაქორწინდი, ცოლი არ ჩამოგყვანია ჩვენთან.

— პოლიციამ არ დართო ნება. ნადია კიდევ ნახევარი წელი უნდა იყოს გადასახლებაში.

— მაშ ასე. მე უნდა გავიცნო შენი ცოლი. როგორც დედას, მე მაქვს ამის უფლება და ამაზე უარს ვერ მეტყვიან. ჩავალ პეტერბურგში და ვითხოვ ნებართვას.

— შენ უნებართვოდაც შეგიძლია წასვლა.

— მე მარტოკა ვერ წავალ: სამოცდახუთი წლისა ვარ, ავადმყოფი გული მაქვს. ხოლო, ვინ უნდა მახლდეს თან, ვინ წარუდგენს დედას თავის ცოლს? რა თქმა უნდა, შვილი, ესე იგი შენ, ვალოდიუშკა! დღესვე გავემგზავრები პეტერბურგს, — მტკიცედ თქვა მარია ალექსანდრეს ასულმა.

ვლადიმერ ილიას ძე უსიტყვოდ მოეხვია დედას.

ბილიკზე, მათკენ მომავალი ანა ილიას ასული გამოჩნდა.

— ანეჩკა, — დაუძახა ეშმაკური ღიმილით დედამ, — დღეს მე პეტერბურგს მივდივარ. გადმოიღე, გეთაყვა, ჩემი სავიზიტო კაბა. მიტიას კი უთხარი, სადგურში ჩავიდეს და მეორე კლასის ბილეთი მიყიდოს.

## დედასთან, დასასვენებლად

საღამოს წვიმამ გადაიღო. ცა მოისარკა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში მკაფიოდ ისმოდა ნაკადულების რაკრაკი. აყვავებული ცაცხვებიდან ნიავი სურნელოვან წვეთებს ბერტყავდა.

ჩაიქროლა მატარებელმა, გაიელვა სინათლეების მწკრივმა და ტყეში უფრო ჩამობნელდა.

— რა სურნელებას აფრქვევენ ცაცხვები! — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ და მთელი მკერდით ჩაისუნთქა.

— თითქოს თაფლში მიაბიჯებდე და არა ტალახში,— გამოეხმაურა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

მარია ილიას ასულს ფეხი დაუსხლტა. იგი ძმის სახელოს მოებღაუჭა და მხიარულად გაიცინა:

— ვიშ, რა ტალახია! კარგი იქნებოდა ახლა. ბუზივით ჩავფლობილიყავი ამ თაფლში!

ქარმა ბუჩქნარის ტოტები მისწი-მოსწია და შორს განათებული სარკმელი გაკიაფდა.

— დედიკო ჩვენ გვიცდის. ძალიან მიყვარს ეს განათებული სარკმელი — ჩვენი ძვირფასი შუქურა! — გატაცებით წარმოსთქვა ვლადიმერ ილიას ძემ. — რაც არ უნდა გვიანი იყოს, შენთვის მუდამ ნათობს ეს სარკმელი და კარს გიღებს დედა...

ვლადიმერ ილიას ძემ ფრთხილად შეაღო წვიმით გაჟღენთილი ჭიშკარი. ის იყო ჭრაჭუნა საფეხურზე შედგეს ფეხი, რომ კიბის თავზე მარია ალექსანდრეს ასული გამოჩნდა.

— დედიკო, შინ შედი, გაცივდები! — ასძახა ვლადიმერ ილიას ძემ.

ზღურბლთან სველი ფეხსაცმელები გაიხადეს და გაკაშკაშებულ, საზეიმოდ მორთულ ოთახში შევიდნენ.

— ძლივს არ მოხვედით! — ეხვეოდა შვილებს მარია ალექსანდრეს ასული.

სასადილო ოთახში სამოვარი ღიღინებდა, ზედადგარზე ბლითები ცხელდებოდა, სუფრა გაწყობილი იყო.

იმპერიალიზმის ეპოქაში არა მარტო მუშათა კლასის მოძრაობა, არამედ მსოფლიო ისტორიის საერთო მოძრაობაც ვითარდება ისე, როგორც ამას ჭვრეტდა დიდი ლენინის ნათელი გენია.

მორის ტორეზი

მარია ალექსანდრეს ასული ჩაის ასხამდა და თან სამზარეულოში ხელის დასაბანად გასული შვილების სიცილს უგდებდა ყურს. რა კარგია, როცა შინ მხიარული ხმები ისმის!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარია ილიას ასული სუფრას მიუსხდნენ და ტკბილ ფუნთუშებს მიეტანენ.

ვლადიმერ ილიას ძე ბოლთას სცემდა ოთახში, თან ლარნაკებში ჩადებულ მინდვრის ყვავილებს ათვალიერებდა. ბოლოს ხელი შეახო პალმას და გაუღიმა რაღაც შორეულს.

— კარგია, ძალიან კარგია! — თქვა მან ხელების ფშვნეტით, — გემოზე დავისვენებთ.

— მოდი სუფრასთან, ვალოდიუშკა, — უთხრა დედამ.

— სიმბირსკშიც ასეთი პალმა გვედგა, სასტუმრო ოთახში, როიალის წინ. იქაურობას რომ ვტოვებდით, უკანასკნელი, რაც დამახსომდა, ეს იყო პალმა.

— როგორაა საქმეები, ვალოდიუშკა — დაკვირვებით შეხედა დედამ შვილს. — გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რევოლუცია დაიღუპაო; აი თქვენი „ექო“ კი...

— ჩვენი „ექო“ — მუშათა ხმების ექოა, ხოლო პროლეტარიატი სულაც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. და მე ვიქნები უკანასკნელი, რომელიც იტყვის, — რევოლუცია დამარცხდაო.



— ვალოდია! ჩვენ დასასვენებლად მოვედით, შენ ხომ დამპირდი, — დაემუქრა თითით ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.— არა, ამხანაგებო, ასე არ ვარგა. გუშინ, თათბირიდან რომ დაბრუნდა, ვალოდიამ ორივე ხელი ასწია და მითხრა: გნებდები, უნდა დავისვენოო; მომცა საზეიმო ფიცი, რომ მთელ რვა დღეს წერა-კითხვის უცოდინარად გადაიქცეოდა, ივლიდა სოკოს საკრეფად, საბანაოდ, დაწნავდა თეთრი გვირილების თაიგულებს.

— რა გაეწყობა, — აიჩეჩა მხრები ვლადიმერ ილიას ძემ, — მზად ვარ ყრუ-მუნჯიც კი გავხდე. ოღონდ, ერთი კითხვა: რას იწერებიან ანია, მარკი და მიტია, როგორ მიდის მათი საქმეები?

— წერილები მოკლეა, — მიუგო მარია ალექსანდრეს ასულმა, — ჯანმრთელად ვართო, ბევრს ვმუშაობთო. ხვალ წაგაკითხებ. ახლა კი, ბავშვებო, ძილის დროა.

სამივენი მართლაც ბავშვებად გრძნობენ თავს, და მორჩილად მიდიან თავ-თავიანთი ოთახებისაკენ.

მარია ალექსანდრეს ასული კიდევ დიდხანს ზის თავის საწოლ ოთახში, ნატრობს — გაგრძელდეს ღამე, რათა კარგად გამოიძინონ ბავშვებმა, ძალ-ღონე მოიკრიბონ.

უკვე მეორე წელია, მთელ ქვეყანაში რევოლუციის კოცონები გიზგიზებს. მუშები იარაღით ხელში აღდგნენ ცარიზმის წინააღმდეგ. გლეხები მემამულეთა კარმიდამოებს სწვავენ, არმია ეურჩება მეფის გენერლებს. რუსეთი კიდით-კიდე ცეცხლშია გახვეული. ამის მსგავსი რამ არასოდეს არ ყოფილა. მარია ალექსანდრეს ასულის ყველა შვილი ჩაბმულია ამ ბრძოლაში. ისინი მოვლენათა შუაგულში ტრიალებენ. მიტია მშობლიურ სიმბირსკში რაზმავს მუშებსა და გლეხებს, მარკი სამარაშია გადასახლებული, რკინიგზაზე გაფიცვის მომზადებისათვის, მაგრამ იგი იქაც რევოლუციონერებთან ერთადაა. მანიაშა პიტერის ფაბრიკებში აგიტაციას ეწევა. ანია ბოლშევიკურ გამომცემლობაში მუშაობს.

მარია ალექსანდრეს ასული ყოველდღე კითხულობს „ექოს“ და სცნობს თავისი შვილის — ვლადიმერის ხელს. იცის, რომ რევოლუციის ბედი — ვლადიმერ ილიას ძის სასიცოცხლო საქმეა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული — მისი ერთგული თანაშემწე, მეგობარი და მზრუნველი მეუღლეა. „რა კარგია, რომ დასასვენებლად ჩამოვიდნენ! მხოლოდ, რას წამოვიწყე ლაპარაკი იმაზე, თუ რას წერენ გაზეთები?“ — ბრაზობს თავის თავზე მარია ალექსანდრეს ასული.

...აშოლტილი ფიჭვებითაა შემოზღუდული ელიზაროვების აგარაკი საბლინში. აი, ამოვიდა მზე და მიწაზე ხე-

თა ჩრდილები გაფინა. აჟრიამულდნენ ჩიტები. ახმაურდა ტყე.

კარი წყნარად გაიღო და კიბის თავზე გამოვიდა ვლადიმერ ილიას ძე. მან ბაღში გაიარა, დილის რამდენიმე ვარჯიში გააკეთა, მერე თავი ასწია და შოშიებს აჰხედა.

საბუდარის სახურავზე ჩამომჯდარი ზებერი შოშია საფრენად აქეზებდა გამოუცდელ ბარტყს. ბარტყს ეშინოდა. მაშინ შოშიამ ფრთები გაშალა, ლამაზად შეინავარდა, შემოუფრინა საბუდარს და კვლავ მის სახურავზე ჩამოჯდა. ახლა უფრო მეტი გულმოდგინებით დაუწყო შეგონება შვილს. მრგვალ „სარკმელში“ დედა შოშიას გამოეყო თავი და ისიც ამხნევებდა პატარას. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა ბარტყმა, მოსწყდა ქანდარას და, ფრთების ჩქარ-ჩქარი ქნევით, ჭნავის შტოზე დაფრინდა. შემდეგ ისევ უკან-დედისკენ გაფრინდა. ორივენი მხიარულად აჭყიპინდნენ. ბარტყი უკვე ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას. იგი უფრო და უფრო დიდ წრეებს აკეთებდა, სანამ სულ არ მიეფარა თვალს.

ვლადიმერ ილიას ძემ თავი გადააქნია, გაიცინა, ხალათის ჯიბიდან ფანქარი და ორად გაკეცილი რვეული ამოიღო, კიბეზე ჩამოჯდა და წერას შეუდგა.

მარია ალექსანდრეს ასულს ერთ ხანს ოთახიდან გამოსვლა ვერ გაებედნა, — იატაკის ფიცარი არ გაჭრაჭუნდეს და ბავშვებს ძილი არ დაუფრთხოსო. ბოლოს, ფრთხილი ნაბიჯებით წინკარში გამოვიდა, ბაღისკენ კარი ნახევრად ღია დახვდა. „როგორ დამავიწყდა წუხელ კარის დაკეტვა?!“ — გაიფიქრა შეშფოთებით და გარეთ გამოვიდა.

კიბის საფეხურზე იჯდა ვლადიმერ ილიას ძე, რვეული მუხლზე დაედო და გამალებით წერდა. დედამ მის სწორ, მზით გაბრწყინებულ შუბლს ხელი დაადო.

— დედიკო! — წამოხტა ვლადიმერ ილიას ძე და რვეული ზურგს უკან დამალა.

მარია ალექსანდრეს ასულს გაეცინა.

— მე, უბრალოდ, მინდოდა ჩამეწერა რამოდენიმე აზრი, სანამ თქვენ გამოიღვიძებდით. მოდი, ბაღში გავისეირნოთ.

მარია ალექსანდრეს ასულმა შვილს აჩვენა ვარდის ბუჩქი, რომელიც ვეებერთელა, ყვავილებიან კალათს ჰგავდა.

ვლადიმერ ილიას ძემ კიტრის კვალი დაინახა, მივიდა, ხაოიანი ფოთლები გადასწ-გადმოსწია, კიტრი მოწყვიტა. ხელისგულით ხორკლი მოაშორა და ჩაკბიჩა.

— გემრიელია!

სახლიდან სიმღერა მოისმა.

— ნადიუშა და მანიაშა რომანსებს მღერიან! — გაიცინა ვლადიმერ ილიას ძემ.

სულ მალე მათაც მოირბინეს ბაღში.

— მოგვილოცავს მზიანი დილა! მოგვილოცავს დასვენების პირველი დღე! — იძახდნენ ორივენი მხიარულად, — წავიდეთ საბანაოდ.

— წადი, ვალოდიუშკა, წადი. მე ამასობაში საუზმეს მოვამზადებ ფანჩატურში, — მარია ალექსანდრეს ასულმა რამდენიმე კიტრი მოწყვიტა და ვლადიმერ ილიას ძეს გაუწოდა — გზაზე შეექცეით.

...ბანაობიდან გვირილის თაიგულებით დაბრუნდნენ.

— ოი, როგორ გვშია! — იცინოდა მარია ილიას ასული. — ვალოდია ისე ყვინთავდა და ისე მიცურავდა მხარულით, რომ საბლინელი ბიჭები შურით უყურებდნენ.

— თვითონ სადაა? — იკითხა დედამ.

მარია ილიას ასულმა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გაოცებით მიმოიხედეს.

— აი, საკვირველება! მთელი გზა ჩვენს უკან მოდიოდა და უსტვენდა, ბოლოს გვთხოვა, — იმღერეთო. ნეტა სად გაჰქრა?

— მივხვდი, — ამოიოხრა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, — განგებ გვამღერა, რომ სადგურზე გაპარუ-



ლიყო, გაზეთებისთვის. აგერ, ისიც! და, რა თქმა უნდა, გაზეთების დასტით...

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარია ილიას ასული სიცილით გაიქცნენ ვლადიმერ ილიას ძისაკენ გაზეთების წასართმევად. მაგრამ, მის სერიოზულ სახეს რომ შეხედეს, გაჩერდნენ.

— ვალოდია, რა მოხდა? — ჰკითხა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა.

— სათათბირო გაურეკიათ, — მიუგო ვლადიმერ ილიას ძემ. — ასეც მოველოდი. მაშ ასე, მეფე შეტევაზე გადმოდის. საჭიროა დაუყოვნებლივ შევიკრიბოთ, პარტიის ტაქტიკაზე მოვითათბიროთ. — ვლადიმერ ილიას ძემ გაზეთი გაშალა.

მარია ილიას ასულმა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა წაიკითხეს დიდი, შავი ასოებით აწყობილი სიტყვები:

„სახელმწიფო სათათბირო დაშლილია“

მარია ალექსანდრეს ასული უხმოდ იდგა. მიხვდა, რომ დასვენება დამთავრდა.

ვლადიმერ ილიას ძემ შეხედა მას.

— დედიკო, შენ გაგვიგებ. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ, — თქვა და ჯიბიდან საათი ამოიღო. — პიტერიდან გამოსულმა მატარებელმა ეს-ესაა გაიარა, უკან ერთი საათის შემდეგ გამობრუნდება. ასე რომ, ჩვენ კიდევ მოვასწრებთ წასაუზმებას.

ისხდნენ ჩუმად და უყურებდნენ ვლადიმერ ილიას ძის დაფიქრებულ სახეს.

— მანიაშა, შენ ვიბორგის მხარეს წახვალ. მისამართები იცი. მენჟინსკისთან შევიკრიბებით. ნადია ლიტოვკაში წავა.

ვლადიმერ ილიას ძე ერთი ხელით ჩაის ურევდა, მეორეთი გაზეთს ფურცლავდა.

უეცრად, ჭიშკარმა გაიჭრიალა.

მარია ალექსანდრეს ასული ფანჩატურიდან გამოვიდა. ჭიშკართან თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილი იდგა და უხერხულობისაგან ხელში ქუდს ჭმუჭნიდა.

— ვინ გინდა? — ჰკითხა მარია ალექსანდრეს ასულმა.

— მე მინდა ვლადიმერ ილიას ძე.

მარია ალექსანდრეს ასულს გულში ეჭვმა გაჰკრა.

— აქ ასეთი არავინ არ ცხოვრობს.

— თუ მისი ნახვა არ შეიძლება, მაშინ — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. უთხარით, რომკა მოვიდა-თქო, პიტერიდან, მნიშვნელოვან საქმეზე.

შეშფოთებულმა მარია ალექსანდრეს ასულმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გამოიხმო. მან ყმაწვილს ძველი ნაცნობივით ჩამოართვა ხელი. მარია ალექსანდრეს ასული ფანჩატურში შებრუნდა.

— უბედურებაა მოსალოდნელი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულო. — დაიწყო რომკამ პირდაპირ, — ეფიმ პეტრეს ძემ მთხოვა შემეტყობინებია თქვენთვის, რომ ვლადიმერ ილიას ძეს პოლიცია ეძებს. მე ვიყავი სადგურზე, იქაურობა ჯაშუშებით და ჟანდარმებითაა სავსე.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გაფითრდა.

— გმადლობ, რომუშკა. რა ამბებია პიტერში ამჟამად. სიწყნარეა?

— სიწყნარე კი არა! მეფემ სათათბირო გარეკა. ხალხი ღელავს.

— შენ როგორ გააღწევ უკან?

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენამდე მოაღწია ლენინის შრომებმა, მოძღვრებამ და სახელმა, ავუშვით ჩვენი ხომალდის ღუზა და რევოლუციური ბრძოლის ბობოქარ ზღვაში გავედით რწმენით, რომელიც თანდათან მტკიცდებოდა.

პალმირო თოლიატი

— მე რა მიჭირს, უბილეთოდაც კი წავალ...

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სუფრასთან დაბრუნდა, თან ცდილობდა, მხიარული სახე მიეღო. მარია ალექსანდრეს ასულმა გამომცდელად შეხედა.

— ნადეჟდა, ვინ იყო ის ყმაწვილი?

— ნაცნობი ბიჭია, მარწყვსა ჰყიდდა, მაგრამ ძალიან ძვირად აფასებდა და არ ვიყიდე.

—მე, რატომღაც, ვერ დავინახე მის ხელში მარწყვის კალათა; რაღაც არა მგონია, პიტერიდან მარწყვი მოჰქონდეთ აგარაკზე.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა დამნაშავესავით შეხედა მარია ალექსანდრეს ასულს.

— ბიჭუნა მოვიდა იმის სათქმელად. რომ სათათბირო გარეკილია. მეტი არაფერი.

ვლადიმერ ილიას ძე მიხვდა, რომ რაღაც საგანგაშო ამბავი მოვიდა.

— წამოდი, ნადიუშა, ბარგი ერთად ჩავალაგოთ, თორემ, ვიცი, დაბნეულობისაგან დაგავიწყდება რომელიმე აუცილებელი ნივთი.

— გეჭამათ რამე! — შეეხვეწა მარია ალექსანდრეს ასული.

— ახლავე მოვალთ, — დაჰპირდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

ვლადიმერ ილიას ძემ მშვიდად მოისმინა რომუშკას მოტანილი ამბავი.

— ნუ ღელავ. ნადიუშა! — მე აქედან ფეხით წავალ უკანასკნელ სადგურამდე და იქ მოვუცდი მატარებელს. პოპოვკაში ვერ მომაგნებენ. მხოლოდ, დაუყოვნებლივ უნდა წავიდე, თორემ მატარებელი გამასწრებს.

— ვალოდია, — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მეუღლეს მხრებზე დაადო ხელები, — ფრთხილად უნდა იყო. თუმცა ეს თვითონ უკეთ იცი.

ვლადიმერ ილიას ძემ აკოცა ცოლს.

— სრულიად დამშვიდებული იყავი. იცოდე, ისინი მე ვერასოდეს ვერ დამიჭერენ. გესმის, ვერასოდეს. აი, დედას კი რა ვუთხრა? მეტი რა გზაა, უფრო მაძღრისად უნდა ვისაუზმო, ეს დაამშვიდებს დედას.

— მაგრამ შენ სულ რამდენიმე წუთიღა გაქვს დრო.

ვლადიმერ ილიას ძე მიუჯდა სუფრას და ერთბაშად გადაჰკრა გაცივებული ჩაი.

— ერთიც კიდევ, — გაუწოდა მან ფინჯანი დედას, — საშინლად მომშივდა, — ზედიზედ შეჭამა სამი ღვეზელი და ცხელი ჩაი დააყოლა. — ახლა კი უნდა წავიდე. გზად ერთ ამხანაგთან უნდა შევიარო. მანიაშა და ნადიუშა სადგურზე დამელოდებიან. ნახვამდის, ძვირფასო დედიკო. ჩვენ აუცილებლად მოვალთ შენთან. დასასვენებლად, და მაშინ კი — დიდი ხნით.

მარია ალექსანდრეს ასულმა ჭიშკრამდე მიაცილა შვილი. ვლადიმერ ილიას ძე ტყის გზას დაადგა. მიდიოდა

და ნაბიჯების ტაქტზე ენერგიულად იქნევდა ხელებს.
დედა უყურებდა შვილს, სანამ იგი მოსახვევში თვალს არ მიეფარა. დედის გულში დარდმა დაისადგურა...

## სონატა

ვოლოგდაზე აგვისტოს ბნელი ღამე ჩამოწვა. ფანჯრებში ერთი-მეორეზე ქრება სინათლე.
სადღაც სარაკუნა აკაკუნდა. ეს — ღამის დარაჯი გამოვიდა ქუჩაში. მიდის დარაჯი და თან განათებულ ფანჯრებში იცქირება. აი, სარდაფში სამუშაოს უზის მემაქმანე გრუშა. თითების სწრაფი მოძრაობით, შავ მაუდზე მარჯვედ გამოჰყავს მაქმანი, ცალი ფეხით კი აკვანს არწევს.
— ეჰ! — ამოიოხრებს დარაჯი, — ჯარისკაცის ცოლია გრუშა ახლა, ოჯახის მარჩენალი. მაგრამ ვიღას უნდა მისი მაქმანი?
დარაჯი გზას განაგრძობს. თოკმობმულ ქანჩის ფიცრის ნაჭერზე აკაკუნებს: ერთი-ორი! ერთი-ორი!
აქ კი, სარაკუნას კაკუნი ზედმეტია. ამ სახლში ახალწვეულებს აცილებენ. იწელება გარმონი, ქალიშვილები სევდიანად მღერიან გამოსათხოვარ სიმღერებს, მოსთქვამენ შვილების მხრებს მიკრული დედები...
მიდის დარაჯი, დაუდუმებლად და მრისხანედ კაკუნობს მისი სარაკუნა,
დარაჯი ცაცხვებით დაბურულ ძელურ სახლს მიადგა და სარაკუნა გააჩუმა. ამ სახლიდან ყოველ საღამოს მუსიკის ხმა გამოდის. მერე რა მუსიკაა! — პირდაპირ გულში ჩამწვდომი.
მარია ალექსანდრეს ასული ძველ, ნაქირავებ პიანინოს უზის და უკრავს.
მეზობელ ოთახში ქალიშვილები მუშაობენ. ისინი პატარ-პატარა დასტებად ჰკრავენ პროკლამაციებს და ასანთის ყუთებში სდებენ. ამ ბოლშევიკურმა ფურცლებმა უნდა უამბონ მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცთა ცოლებს, თუ ვისთვისაა ხელსაყრელი ეს ყაჩაღური ომი. „პრავდა" დაარბიეს მეფის ჟანდარმებმა, მაგრამ ბოლშევიკური პარტია ერთი საათითაც არ ჰკარგავს ხალხთან კავშირს. სიმართლის ცეცხლოვანი სიტყვებით ანთებული ნაცრისფერი ფურცლები აღწევენ ადამიანებამდე.
დიდი, საერთო უბედურება დაატყდა თავს მთელ მსოფლიოს. ყოველდღე, ყოველ საათსა და წუთს ვიღაც კვდება ამ ომში, ქვრივდებიან ცოლები, ობლდებიან ბავშვები.
დიდ საფრთხეში იყო ვლადიმერ ილიას ძე ომის პირველ დღეებში. ცრუ დასმენის შედეგად, ავსტრიის პოლიციამ დააპატიმრა იგი, ომის პირობებში მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა.
დებმა გადაწყვიტეს, დედისთვის არ ეთქვათ ეს ამბავი, მაგრამ მან თვითონ გაიგო გაზეთებიდან.
დედის გულმა გაუძლო იმ საშინელი თორმეტი დღის ტანჯვას. ვლადიმერ ილიას ძე ახლა უშიშარ ადგილასაა, შვეიცარიაში. დედის გულს კი შვილებზე დარდი ისევ ძიძგნის. ომს ებრძვის მისი ყველა შვილი: ვალოდიაც, ანიაც. მიტიაც, მანიაშაც. ოთხმოცი წლის რომ არ იყოს, თვითონაც იტყოდა თავის სიტყვას ომის წინააღმდეგ. მაგრამ რას იზამ, წლებს თავისი მიაქვთ.
დედა თავის ფიქრებს მუსიკაში აქსოვს. ჟღერს ბეთჰოვენის პათეთიკური სონატის შესავალი.
უეცრად, მელოდიაში შემოიჭრება უხეში კაკუნი... მშვენივრად იცნობს დედა ღამის ამ კაკუნს. იგი კარგს არაფერს მოასწავებს.
მეზობელ ოთახიდან, შეშფოთებულმა მარია ილიას ასულმა გამოიხედა.
— პოლიციაა, — ეუბნება ჩურჩულით დედა, — მოსპეთ, რისი მოსპობაც მოახერხოთ, მანამდე მე მათ დავაყოვნებ.
მარია ალექსანდრეს ასული კვლავ განაგრძობს დაკვრას... იზრდება და ფართოვდება მრისხანე ხმა. ხელებზე ძარღვები იძაგრება, შუბლი ოფლის წვრილი მძივებით იფარება, დედის ხელები უდიდესი ენერგიით მუხტავენ თითოეულ სიმს.
სახლი ცახცახებს კარებზე წიხლების დარტყმისაგან.
დერეფნის კარი უკვე ჩამოაგდეს, ახლა ოთახის კარზე აბრახუნებენ.
პიანინო კი ზეიმურად, მძლავრად ჟღერს, თითქოს კედლებიც კი ჟღერენ, მაგრამ ხელებს უკვე აღარა აქვთ მეტი არაქათი. დედა სახეს იწმენდს ცხვირსახოცით და კარებისკენ მიდის.
— ვინა ხართ? — კითხულობს ისე მშვიდად, თითქოს კაკუნი ახლაღა გაიგონაო.
— გაღეთ ჩქარა! თორემ ამ კარსაც შემოვამტვრევთ.
მარია ალექსანდრეს ასულმა რაზა გადასწია.
ოთახში ბოქაული და ხუთი პოლიციელი შემოიჭრნენ
— ჩვენ მარია ულიანოვა გვინდა, — ბოქაულმა მარია ალექსანდრეს ასულს ცხვირწინ ქაღალდი აუფრიალა.
მხოლოდ წამით ჩაფიქრდა დედა.
— მე ვარ მარია ულიანოვა, — ამბობს იგი.
ბოქაული შეცბუნებული უყურებს თმაგათეთრებულ, ჩია ტანის დედაბერს.
— პასპორტი!
— ახლავე, ამ წუთში, — ამბობს მარია ალექსანდრეს ასული და ერთიმეორეზე აღებს კომოდის უჯრებს; ბოლოს, პოულობს ხელჩანთას და იქექება შიგ.
— რას ფათურობ მანდ, მომეცი მალე პასპორტი! — ჩქარობს ბოქაული.
— გთხოვთ, ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის ქვრივს „თქვენობით" მომმართოთ, — მკაცრად აფრთხილებს მარია ალექსანდრეს ასული.
ბოქაულს პასპორტი ლამპასთან მიაქვს და ყურადღებით აკვირდება.
— ჰმ... დიახ... მარია ულიანოვა... მეოთხმოცე წელი... ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის ქვრივი; ეს თქვენი ოთახია?
— დიახ, ამ ოთახში მე ვცხოვრობ.
— მეორე კარი სად გადის?
— იქ სხვები ცხოვრობენ. — მშვიდად პასუხობს მარია ალექსანდრეს ასული.
— თქვენა ხართ გადასახლებული მარია ულიანოვა?
— დიახ, მე, მარია ულიანოვა, აქ ნებაყოფლობით გადასახლებაში ვარ.
— როგორ არა — „ნებაყოფლობით!" — ამბობს ბოქაული გესლიანად. — რევოლუციური საქმიანობისათვის, სასამართლოს მიერ მოსჯილი გაქვთ სამი წლით ვოლოგდაში გადასახლება... „ნებაყოფლობით"... აი რა, ქალბატონო ულიანოვა, — ჩვენ თქვენთან ლაილაისთ-



ვის არ გვცალია. გვითხარით პირდაპირ: სად ინახავთ არალეგალურ რამეებს. ჩვენ ყველაფერი ვიცით. ვიცით, რომელი გაზეთები მოგდით; ვიცით, რომ ლენინთან მიწერ-მოწერა გაქვთ, და რომ აქ, ვოლოგდაში, ჯანყსა სთესავთ და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხართ. როგორც ხედავთ, უარი არ გაგივათ. ჰოდა, მოგვეცით ის გაზეთები, ფურცლები...

მარია ალექსანდრეს ასული მიდის თაროედთან, იღებს გაზეთების დასტას და ბოქაულს აძლევს.

— „ბირჟევიე ვედომოსტი“, „რეჩ“, „რუსკოე სლოვო“, — კითხულობს ბოქაული და გაბრაზებული იატაკზე ყრის გაზეთებს.

— მე აქ სამასხროდ როდი მოვსულვარ! ეს გაზეთები უმაღლესად ნებადართულია. მოგვეცით ბოლშევიკური.

— მე ასეთებს არ ვიწერ.

— თუ ასეა, ჩაიცვით, ჩვენთან ერთად წამოხვალთ.

მარია ალექსანდრეს ასული ტანისამოსის საკიდთან მიდის, იხურავს ქუდს და დიდხანს ისწორებს მას, თან იმაზე ფიქრობს — მოასწრეს თუ არა ქალიშვილებმა ყველაზე მნიშვნელოვანი ქაღალდების მოსპობა.

— ცოცხლად! ცოცხლად! — ყვირის ბოქაული, — ცოდვებს უნდა ინანიებდეს ეკლესიაში, ეს კი... ფორტეპიანო და... ჯანყსა სთესავს...

— მოწყალეო ხელმწიფევ! — მრისხანედ ეუბნება მარია ალექსანდრეს ასული, — თქვენ გავიწყდებათ... თქვენს საქციელზე ვიჩივლებ გენერალ-გუბერნატორთან, ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან. თქვენ უკანონოდ მოქმედებთ. — მარია ალექსანდრეს ასული დაჯდა. — და მე ფეხით არ წამოვალ. ოთხმოცი წლისა ვარ და არ შემიძლია ფეხით სიარული.

ბოქაული ცოფდება, მაგრამ საწინააღმდეგოს ვერაფერს ვერ ამბობს.

— ეტლი! სწრაფად! — უბრძანებს პოლიციელს.

დედა შეამჩნევს, რომ ბოქაული დაეჭვებული იყურება მეზობელი ოთახის კარისაკენ. ამიტომ დგება და პიანინოს მიუჯდება. უკრავს სონატის ფინალს.

მუსიკა ძლიერდება, ფართოვდება, იზრდება, ხელებს ღონე ელევათ... მაგრამ კვლავ ზეიმურად ჟღერს მელოდია.

— ცხენები მზად არის! — მოახსენებს პოლიციელი ბოქაულს.

— აბა, მორჩით თქვენს მუსიკას, ციხეში უნდა წავიდეთ. თქვენ დაპატიმრებული ხართ.

მარია ალექსანდრეს ასული დგება.

მეორე ოთახიდან გამოდის ანა ილიას ასული.

— გაგიჟდით?! ნუთუ ვერა ხედავთ, რომ თქვენ წინაშე — ღრმად მოხუცებული ქალია? რომ მიგყავთ, რა უფლება გაქვთ?

— მე მაქვს გენერალ-გუბერნატორის მოწერილობა—დავაპატიმრო და ციხეში მივიყვანო მარია ულიანოვა.

— რაა მარია ულიანოვას მამის სახელი?

ბოქაული მოწერილობას შლის:—მარია ილიას ასული...

— თქვენს წინაშე კი მარია ალექსანდრეს ასულია. ჩაგეხედათ პასპორტში.

— ჩავიხედე, როგორ არ ჩავიხედე, — ბუტბუტებს ბოქაული. — მარია ილიას ასული სადაა?

— აქა ვარ. — მარია ილიას ასული გამოვიდა მეზობელ ოთახიდან.

— ქალბატონო, — აუყვირდა ბოქაული მარია ალექსანდრეს ასულს, — რას მაპამპულებდით მთელი საათი?

...მიჰქრის ეტლი. ეტლში, პოლიციელებით გარშემორტყმული, მარია ილიას ასული ზის.

მას კვალდაკვალ მისდევს მუსიკა.

ვოლოგდის ბნელ ქუჩებში ღამის დარაჯი მიდის: დაძაბულ სიჩუმეში ჭექა-ქუხილივით გაისმის მისი სარაკუნას ხმა, თითქოს უნდა დააფრთხოს, რაც კი არამზადებია ამ დედამიწაზე: ვინც გრუშას ქმარი წაჰგვარა, ვინც ჭაბუკებს ომში გზავნის, ვინც ადამიანებს ართმევს ყველაზე ძვირფასს — თავისუფლებას.

მომწოდებლურად, მრისხანედ ჟღერს პიანინო. მას ბანს აძლევს სარაკუნა.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.

**„გაიხსენე შენი ვალდებულება!“**

იმ დღეს თბილისის მე-100 საშუალო სკოლაში პიონერთა აქტივის კრება იყო დანიშნული. წამდაუწუმ იღებოდა პიონერთა ოთახის კარები, წამდაუწუმ ისმოდა:

— სალამი, ხელმძღვანელო!

ხელმძღვანელი — ნანა ჩოჩუა და რაზმეულის საბჭოს წევრები — მარინე ჩიტიძე, დარეჯან ბეგაშვილი და ლია ლობლაძე კუთხეში მდგარ, ქაღალდებით, ალბომებითა და ნახატებით დახუნძლულ მაგიდასთან ძლივსღა ჩანდნენ.

— აქ არ მოხვიდეთ, — აფრთხილებდა მარინე ახალშემოსულებს. ეს გაფრთხილება ცნობისმოყვარეობას უფრო აღვიძებდა. ბოლოს, გივი მიქაძემ ველარ მოითმინა, კისერი წაიგრძელა და გრაფნილებს იქეთ გადაიხედა.

„— გაიხსენე შენი ვალდებულება!“ — ხმამაღლა და გამოთქმით წაიკითხა მან, — ამას მალავდით? ჯერ ერთი, რა საჭიროა ამოდენა

# შვიდფერი, როგორც ცისარტყელა

სტენდი, ვის არ ახსოვს თავისი ვალდებულება!

—მერე, რომ გახსოვს, როგორ ასრულებ, — გრაფნილად დახვეულ კედლის გაზეთში საყვირივით ჩასძახა დარეჯანმა, — რამდენი „ორიანი“ იქნება თქვენს რაზმში?

— „ორიანი“ რა ვიცი... — შეყოყმანდა გივი, — არ იქნება ბევრი.

— უყურე შენ, — გაეცინა მარინეს, — ჩვენ არც ცოტა გვინდა! მოდი აქ და მოგვეხმარე.

გივი თვალისდახამხამებაში მაგიდის მეორე მხარეს მოექცა, მკლავები დაიკაპიწა და წებოში ამოვლებულ ფუნჯს წამოავლო ხელი.

კარი კვლავ გაიღო.

— შემოდი, შემოდი, — სახლოში ეჩაჩებოდა ერთი მესამეკლასელი ბიჭუნა თავის ამხანაგს, — მოდი, რა გაჩვენო!

ისინი საბრძოლო დიდების კედელთან შეჩერდნენ.

— ნახე, ამ ავტომატში ოცდაათი ტყვია ეტევა. აი, ეს „კატიუშაა“; ხედავ, ფაშისტები გარბიან, — გატაცებით ხსნიდა ბიჭუნა, მისმა ამხანაგმა კი სხვა სურათს მიაქცია ყურადღება. წყალქვეშა ნავიდან საკმაო მანძილზე მეზღვაური აბობოქრებულ ტალღებში მოქცეულიყო და, როგორც ჩანდა, შველას ითხოვდა.

— ეს რაღაა? — მოითხოვა ახსნა მან.

იქვე მდგომმა თენგიზ შულაიამ პატარებს მხრებზე მოხვია ხელი და სურათის წარწერა გადაუთარგმნა:

— ეს მეზღვაური ძლიერმა ტალღამ ქიმს მოსწყვიტა. მას დაღუპვა ელოდა, მაგრამ ზემდეგმა ე. გრიგორიევმა თავისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით გადაარჩინა იგი. ეს გმირობა არავის გაკვირვებია, რადგან საბჭოთა არმიაში ასეთი კანონია: „თვითონ დაიღუპე, ამხანაგი იხსენი“.

— ეს გმირთა დიდების კედელი, მართლაც კარგი გამოგვივიდა, ხელმძღვანელო, — უთხრა თენგიზმა ნანას.—ოღონდ ეს წარწერები ქართულად ვთარგმნოთ, რომ პატარებმაც თავისუფლად წაიკითხონ.

— მართალი ხარ, — მოუწონა ხელმძღვანელმა, — როცა ჩავატარებთ მკითხველთა კონფერენციას: „ისინი ადიდებენ სამშობლოს“, იმ დროისთვის გავაკეთოთ. ახლა კი აქტივის კრება დავიწყოთ.



მზადაა სტენდი „რა წავუკითხოთ პატარებს“. მის სანახავად ცნობისმოყვარე ოქტომბრელები ხშირად შემოაღებენ პიონერთა ოთახის კარებს..

**ლენინური ვახტი**

— შორს, ტაიგაში, — დაიწყო ხელმძღვანელმა, — შუშენსკოეს რაიონში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იყო გადასახლებული, ახლა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური შენდება; განა ეს სიმბოლური არ არის? იქ, სადაც იქმნებოდა უდიდესი მნიშვნელობის ლენინური შრომები, დღეს ლენინური თაობა აგებს ვეებერთელა მზეს, რომლის სხივები გაათბობენ და გაანათებენ უზარმაზარ ტერიტორიას, აამუშავებენ უდიდეს ქარხნებს.

აკი ამბობდა ვლადიმერ ილიას ძე: „კომუნიზმი ეს არის სოციალიზმი პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

სანამ ხელმძღვანელი ლაპარაკს დაიწყებდა, ლიანა კანკავა ათვალიერებდა V კლასის მიერ მომზადებულ ალბომს „ჩვენი სამხატვრო გალერეა“. ალბომი გადაშლილი დარჩა იმ გვერდზე, სადაც ჩაკრული იყო შიშკინის სურათის — „მარტოობა ჩრდილოეთში“ — რეპროდუქცია. უკაცრიელი მხარე. საღამოვდება. უხმოდ დგას თოვლით დაფურსული მარტოხე. „ობოლი ნაძვია“ „ლარიქს სიბირიკა“... მარტოობა მძაფრია, ხელშესახები, მას ჩრდილოეთის სუსხი ამკვეთრებს. აი, როგორი ნახა იგი მხატვარმა.

— ახლა იქ შენდება უდიდესი ელექტროსადგური, — განაგრძო ნანა ხელმძღვანელმა, — ის პიონერული ჯართით უნდა აშენდეს. მშენებლობას ესაჭიროება 500 ათასი ტონა ლითონის ჯართი. ჩვენი ვალია...

მეორე დღიდან სკოლის ეზო ნაომარ მოედანს დაემსგავსა. ხელის საგორავებით, უბრალოდ თოკჩაბმული მოჰქონდათ ძველი საწოლის თავები, მოძველებული საოჯახო ნივთები, თუნუქის ნაჭრები. 10 ცალი თუნუქის ღუმელი მოიტანეს თავისი კვამლსადენებით.

— რაღად გვინდა, რახანია გაზის ქურები გვიდგასო, — იცინოდნენ ბიჭები.

ყველას მაინც ზურიკო სახელაშვილმა, ლონგინოზ ჰელიძემ და ცისანა მესარკიშვილმა აჯობეს. რაზმეულმა 30 ტონა ლითონის ჯართი მოაგროვა და შრომის ლენინურ ვახტზე ასეთი წარმატებისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი დაიმსახურა.

**წითელი კვალის-მაძიებლები**

როცა გამოცხადდა ექსპედიცია „ლენინური ანდერძის კვალდაკვალ“, მე-100 საშუალო სკოლის ზოია რუხაძის სახელობის რაზმეულმა მიზნად დაისახა:

— ყველა პიონერმა უნდა იცოდეს, როგორ ცხოვრობდა და იბრძოდა ლენინი, როგორ ასხამს ფრთებს ბელადის გენიალურ აზრებს საბჭოთა ხალხი. ყველა რაზმს სურს მდიდარი მასალით შეავსოს ბელადის ცხოვრების ამსახველი სტენდი ან ალბომი. რაზმეულს ჯერ კიდევ 21 იანვრისათვის მზად ჰქონდა დიდი სიყვარულითა და ფაქიზი გემოვნებით დამზადებული სტენდი „ჩვენი ბელადი“, წიგნების მოძრავი გამოფენა „რა ვიკითხოთ ლენინზე“.

სტენდების ქრონოლოგიურად გაწყობისას პიონერები სწავლობენ ლენინის ბიოგრაფიას, აქვთ სპეციალური რვეული, რომელშიც შეაქვთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თარიღები ბელადის ცხოვრებიდან.

ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ თბილისის რევოლუციურ ბრძოლებთან დაკავშირებულ ადგილებში. ისტორიის მასწავლებელმა დიტო შალამბერიძემ პიონერებს უჩვენა 1905 წლის საბარიკადო ბრძოლების ადგილები.

**შეურიგებელთა რეიდი**

— ნაკლოვანებას თუ არ ურიგდები — ეს კარგია, მაგრამ შეურიგებლობა მოქმედებით უნდა გამოხატო!

გორელი ფეიქარი ელენე გეგელაშვილი ვერ შეურიგდა იმ გარემოებას, რომ ბრიგადა, რომელსაც იგი ცვლას აბარებდა, ჩამორჩენილი იყო, გეგმას ვერ ასრულებდა და მუდამ ბოლოში მიჩანჩალებდა. მერე და იცით, როგორ მოიქცა კომუნისტი ქალი? ადგა და, ამ ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა, დაიკაპიწა მკლავები, აამოძრავა ყველანი, გარდაქმნა შრომის ორგანიზაცია და ახლა მისი ბრიგადა გორის ბამბეულის კომბინატში ერთი პირველთაგანია. აი, ეს არის ნამდვილი შეურიგებლობა, — ეუბნებოდა კლასის ხელმძღვანელი რობერტ გახელაძე მე-7 კლასის მოსწავლეებს. — სანამ ჯგუფში თუნდაც ერთი „ორიანი“ გვექნება, ჩვენი „შეურიგებელთა



— უდიდესი ჰიდროელექტროსადგური პიონერულ ჯართს ელოდება, აბა, თქვენ იცით, — თქვა ნანა ხელმძღვანელმა.

რეიდი", ცოტა არ იყოს, ფორმალური გამოგვივა.

პიონერებმა საყვედურით გადახედეს ცისანა კირთაძეს. მეორე მეოთხედში პირველ რაზმში მხოლოდ ცისანას „ორიანი" იყო ეკალივით ამოჩრილი.

გაკვეთილი რომ დამთავრდა, ცისანასთან დარეჯან ბეგაშვილი მივიდა.

— ცისო, დღეს გცალია?

— რა იყო, კინოში წავიდეთ? — გამოცოცხლდა ცისანა.

— წავიდეთ. ოღონდ მანამდე ფიზიკაში ვიმეცადინოთ, ამოცანა ერთად ამოვხსნათ, კარგი?

ცისანა დაეთანხმა.

შემდეგ, დარეჯანს და ცისანას ხშირად ხედავდნენ ერთად. როცა ცისანას დაფასთან გაიძახებდნენ, დარეჯანი ფითრდებოდა, ღელავდა, თვალებით ამხნევებდა ამხანაგს...

გამოსწორდა ერთი „ორიანი". დადგა მეორეს ჯერი...

„შეურიგებელთა" სახეებს კეთილი ღიმილი ეფინა...

## „ყელსახვევების პლანეტა"

პიონერთა ოთახში თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიქცევს სხვადასხვა ქვეყნის დროშების იმიტაცია-კონვერტები. ამ კონვერტებს თუ გახსნით, გაიგებთ რა ხდება დღეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციებში, რა ფერის ყელსახვევებს ატარებენ, რაზე მუშაობენ, როგორ ისვენებენ, რას მღერიან „სხვადასხვა ფერის ყელსახვევების პლანეტის" პატარა ბინადარნი. კონვერტები მოგვითხრობენ აგრეთვე კუბელი ბავშვების გმირობაზე. ერთ-ერთი მათგანი გავხსენი და აი, რა გავიგე:

„კამაგუეის პროვინციაში გლეხებს იარაღის შესაძენი ფული შეუგროვებიათ. რევოლუციონერებთან ამ ფულის მიტანა დაევალათ ერთ ქალსა და 7 წლის ბიჭუნას ხუან ლოპესს. ფული ჩადეს ნამცხვრის ყუთში და ბიჭუნას გადასცეს.

ბიჭმა იცოდა, რომ ვისაც ფულს აღმოუჩენდნენ — დახვრეტა ელოდა, ხოლო გლეხებს — აწიოკება. გზად ქალსა და ბავშვს კონტრრევოლუციონერები დახვდნენ. მათ უხეშად მოითხოვეს ნამცხვრის ყუთის გასინჯვა. ქალი გაფითრდა. ბიჭუნა გაჭირვეულდა, აღრიალდა: „ნამცხვარს ნუ წამართმევთო". თავი დაანებეს ბიჭუნას. ასე იხსნა ბიჭის საზრიანობამ სოფელი აოხრებისაგან...

ახლა მე-100 სკოლის პიონერები საჩუქრებს ამზადებენ ალჟირელი თანატოლებისათვის. მათ უხარიათ, რომ ალჟირში „საკუთარ წარმომადგენელს" — ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს ვაჟა ლეკვეიშვილს გზავნიან.

## ხუთი მცირე ოლიმპიური რგოლი

როგორც კი სტარტი მიეცა პიონერული რაზმეულების ლენინურ დათვალიერებას, სკოლაში დაიწყო სპორტული შეჯიბრებები.

აი, სად იყო ხალხმრავლობა და ყიჟინა.

უნივერსიტეტის დარბაზში ტაშს უკრავდნენ სკოლის კალათბურთელ გოგონებს, რომლებმაც ტექნიკური თამაშით მოხიბლეს მაყურებლები. განსაკუთრებით მოეწონდათ ჟანა სიხარულიძის, მზისადარ ჭყონიასა და რუსუდან ცინცაძის ფარქვეშ გასვლები...

მერე „ჭადრაკის დღესასწაულზე" გოგი ფრანგიშვილმა აჯობა ყველას...

იმაზე, თუ როგორ შეიძლება გახდე ოლიმპიელი, პიონერებს ესაუბრა ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე, ორი ოლიმპიადის მონაწილე რობერტ შავლაყაძე.

1967 წელს, როცა ხალხი გრანდიოზულ იუბილეს—საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს იზეიმებს, დღევანდელი წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები უფრო დიდ საქმეებს შეჭიდებულნი შეეგებებიან.

რაზმეულმა განვლო შვიდი საინტერესო, მიმზიდველი გზა, შეასრულა შვიდი დებულება.

რაზმეულში ჩქეფს ხალისიანი ცხოვრება, პიონერები საინტერესო საქმეების მოთავენი გახდნენ; სწორედ ეს იყო იმ შვიდი გზის მიზანი.

**ნარგიზა მგელაძე.**

ფოტო **დავით იაკობაშვილისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბუტირსკი ხუტორის“ სტუმარი

1921 წლის 22 ოქტომბერს ვ. ი. ლენინმა ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად ინახულა მოსკოვის უმაღლესი ზოოტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობა „ბუტირსკი ხუტორი“ (ამჟამად საკავშირო კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის მოსკოვის საცდელი სადგური), სადაც დაესწრო პირველი საბჭოთა ელექტროგუთნის გამოცდას.

შეხვედრისას საყვარელ ბელადს მუშებმა წაუკითხეს შემდეგი შინაარსის წერილი: „მივესალმებით ჩვენს ბელადს ჩვენი ოფლით მორწყულ მიწაზე და მასთან ერთად, დღევანდელ დღეს, გამოვთქვამთ მხურვალე სურვილს, რომ ელექტრომავთულების ქსელმა, რომელსაც მოაქვს მუშებისა და გლეხებისათვის განთავისუფლება კატორღული შრომის, სილატაკისა და შიმშილისაგან, დაჰფაროს მთელი მუშურ-გლეხური რუსეთი“.

მისალმების შემდეგ აგუგუნდა ელექტროტრაქტორი. ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მუშაობას, ეკითხებოდა ინსტიტუტის თანამშრომლებს ტრაქტორის სხვადასხვა დეტალის შესახებ, მიჰყვებოდა ახალი ხნულის კვალს, ამოწმებდა მის სიღრმეს და საყურადღებო რჩევა-დარიგებებს იძლეოდა. ყველა იქ მყოფი გააკვირვა იმან, რომ ლენინმა ასე ღრმად, საფუძვლიანად იცოდა ტექნიკური საკითხები. დიდ ხანს ესაუბრებოდა ლენინი მუშებს. დაინტერესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობებით, გაეცნო ბაზის მეურნეობას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბელადის ირგვლივ დაცუნცულებდა პატარა ბიჭი — პეტია. იგი საოცრად სწრაფი და პატარა ტანისა იყო. ამის გამო მას „ზღარბს“ ეძახდნენ. ვ. ი. ლენინმა ყურადღება მიაქცია ამ ცნობისმოყვარე ბიჭუნას, ხელში აიყვანა და მიუალერსა, ჰკითხა ჰყავს თუ არა მას მშობლები. პეტიამ უპასუხა, რომ მამა გარდაეცვალა, დედა მწველავად მუშაობს ფერმაში, ხოლო თვითონ სწავლობს და თან დედას ეხმარება, — მწყემსავს ხბორებს. ლენინმა პეტიას თავზე ხელი გადაუსვა და ფერმისაკენ გაიყოლია. გზაზე პეტია ლენინს აფრთხილებდა, — ესა და ეს ფური მრჩოლელია და ახლოს არ მიხვიდეთო.

ვ. ი. ლენინი გააკვირვა მერძეობის ფერმაში დანერგილმა შრომის მაღალმა კულტურამ. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა იმით, რომ მეურნეობის მთელი პროდუქცია იგზავნებოდა საბავშვო ბაგებსა და საავადმყოფოებში.

დღის ბოლოს მთელი დაბის მოსახლეობა აცილებდა ძვირფას სტუმრებს. წასვლის წინ ლენინს სთხოვეს, მათთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაეღო.. ლენინი სიამოვნებით დათანხმდა. ვ. ი. ლენინის გვერდით, ელექტროგუთანთან, პეტია დადგა. სურათის გადაღების შემდეგ ლენინი გულთბილად გამოემშვიდობა მუშებს და სტუდენტებს, ახალახალი წარმატებები უსურვა მათ მუშაობასა და სწავლაში.

რამდენიმე დღის შემდეგ დაბაში ამანათი მოვიდა წარწერით: „ბიჭუნა პეტიასათვის“. ამანათში წიგნები და სასწავლო ნივთები აღმოჩნდა. პეტიასათვის ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო!

ლენინის ნაჩუქარი წიგნებით პეტიამ წერა-კითხვა ისწავლა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მათ.

სამამულო ომის დღეებში პეტია — ახლა უკვე პეტრე მელნიკოვი ფრონტზე ხშირად იგონებდა ვ. ი. ლენინთან შეხვედრას და ამის შესახებ მებრძოლებს უამბობდა.

**შალვა გოგიძე.**




მ. ავრელიუსი: ჩვენ შექმნილნი ვართ ერთობლივი საქმიანობისათვის, ისევე როგორც ფეხები, ხელები, წამწამები, ყბები.

ლ. ბერნე: ბევრი რამის გარეშე იოლად წავა ადამიანი, მაგრამ უადამიანოდ კი — ვერასოდეს.

ვ. გოეთე: განმარტოვებული ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს მიზანს.

მ. გორკი: კოლექტივი ქმნის სულ სხვა ინდივიდუალური ფსიქიკის ადამიანს, უფრო აქტიურს, უღრეკს, რომელიც მოქმედებისათვის ნების ყოფას, ცხოვრების შენებისათვის ნებისყოფას — კოლექტივის ნებისყოფიდან სესხულობს.

ნ. ზელინსკი: იცოდე კოლექტივში მუშაობა — ეს ნიშნავს იყო პრინციპული, ყოველთვის შეგეძლოს კოლექტივის დიდი ინტერესები ამჯობინო პირად ინტერესებს, რარიგ მნიშვნელოვნადაც უნდა მიგაჩნდეს ეს შენი პირადი ინტერესები.

ა. მაკარენკო: ...სწორად გაგებული საზოგადოებრივი ინტერესი — ესაა ჩემი პირადი ინტერესი.

ნიზამ ალ მულკი: ბრძენთ უთქვამთ: „ერთის მსჯელობა ისეა, როგორც ერთი კაცის ღონე, ათის მსჯელობა კი ისეა, როგორც ათი კაცის ღონე“.

პ. პრუდონი: ღონით, ნიჭით ან სიმამაცით განსაკუთრებულად დაჯილდოებულმა ადამიანმა იცის, რომ ყველაფრისათვის უნდა უმადლოდეს საზოგადოებას, ურომლისოდაც იგი არაა.

სენეკა: ჩვენ დაბადებულნი ვართ ერთად ცხოვრებისათვის; ჩვენი საზოგადოება ქვის თაღია, რომელიც ჩამოინგრეოდა, ერთი ქვა მეორე ქვას რომ არ ამაგრებდეს.

ა. ტიდგე: გული საჭიროებს გულს; გაზიარებული სიხარული — ორმაგი სიხარულია, გაზიარებული მწუხარება — ნახევარი მწუხარებაა.



# პორტრეტი

ლელა შანიძე

ჩვენ, მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში, ნატურმორტებისა და პეიზაჟების გვერდით სხვადასხვა პორტრეტებსაც ვხედავთ. ზოგჯერ ის პირი, რომელიც სურათზეა გამოხატული, თავისი საქმიანობითაა განთქმული, ზოგჯერ კი სურათზე სრულიად უცნობი, თითქოსდა უმნიშვნელო ადამიანის სახეა. მაგრამ ჩვენთვის, მნახველებისათვის, ყველა პორტრეტი ერთნაირად საინტერესოა, ვინაიდან ჩვენ გვაინტერესებს პორტრეტი, როგორც მხატვრული ნაწარმოები.

დავუკვირდეთ პორტრეტს. ჩვენ ასეთი კითხვები წამოგვეჭრება: რა არის, სახელდობრ, პორტრეტი? როგორ სურათს შეიძლება ვუწოდოთ პორტრეტი და რრგორს— არა? ვინ არის გამოხატული, რატომ მაინც და მაინც ამა თუ იმ პოზაში ან ტანსაცმელში, ან რატომაა გარკვეული საგნებით გარემოცული?

ხელოვნებაში საკმაოდ ხშირია სურათები, სადაც მხატვრის მთელი ყურადღება მიპყრობილია ცხოველის ზუსტად და მსგავსად გადმოცემაზე, მაგრამ ასეთ სურათს ცხოველის პორტრეტი არ შეიძლება ვუწოდოთ.

პორტრეტი აუცილებლად ვიღაც გარკვეულ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს ასახავს. მხატვარს ხომ შეუძლია თავისი ფანტაზიით, წარმოდგენით დახატოს ადამიანის სახე, მაგრამ არც ეს იქნება პორტრეტი. პორტრეტი მხოლოდ კონკრეტული პირის გამოხატულებაა.

პორტრეტი აუცილებლად უნდა ჰგავდეს თავის ორიგინალს. როდესაც ვუყურებთ სურათს, შეგვიძლია ვთქვათ: „თვალები ჰგავს, შუბლი — არა“, ან „სურათზე ამ კაცს ფართო და მოკლე სახე უჩანს, სინამდვილეში კი მას უფრო გრძელი და ვიწრო სახე აქვს“, ან „მისი თვალებისა და თმის ფერი სულ სხვაა, ვიდრე მხატვარს გამოუსახავს“. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენი შენიშვნები კანონზომიერი იქნება, რადგან პორტრეტი ასლია ადამიანისა. მაგრამ ისეთი მსგავსება, როცა მიმგვანებულია მხოლოდ ადამიანის სახის ნაკვთები (ე. ი. შუბლი, ცხვირი, თვალ-წარბი, ტუჩები), პორტრეტისათვის საკმარისი არაა. ასეთ მსგავსებას ხომ ფოტოგრაფიაც იძლევა, და ფოტოს მსგავსება ორიგინალთან უფრო მეტიცაა, ვიდრე მხატვრის მიერ შექმნილ ნაწარმოებში. მაშ რაშია საქმე? თუკი ფოტო მეტ მსგავსებას გვაძლევს, რაშია მხატვრული პორტრეტის უპირატესობა? საქმე ისაა, რომ ფოტოგრაფია გვაძლევს ადამიანის წამიერ, მომენტალურ გამოსახულებას, ადამიანის მხოლოდ წუთიერ გამომეტყველებას, მაშინ, როდესაც პორტრეტში შეიძლება, და კიდეც უნდა იყოს ნაჩვენები ადამიანის ბუნება, რაც ფოტოს არ შეუძლია. ფოტოზე ადამიანი შეიძლება მხიარულად გამოიყურებოდეს, ან დაღვრემილი ჩანდეს, იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზეა იგი ამ წუთში. მაგრამ ფოტოთი ჩვენ ვერ მივხვდებით, თუ როგორი ხასიათი აქვს ამ კაცს, კეთილშობილია იგი თუ ბოროტი, ჭკვიანია თუ ქარაფშუტა. პორტრეტზე გამოსახული პირი კი ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ მნახველს შეეძლოს წარმოიდგინოს მისი ხასიათი, მისი სულიერი სამყარო, ფსიქოლოგია. ე. ი. პ ო რ ტ რ ე ტ ი უ ნ დ ა ი ძ ლ ე ო დ ე ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა ს, რაც ფოტოს არ შეუძლია. მსოფლიო ხელოვნებაში უამრავი შესანიშნავი პორტრეტია შექმნილი და თითოეული მათგანი თავისებურ ადამიანურ ბიოგრაფიას წარმოადგენს, თითოეულში მოთხრობილია ადამიანის თავგადასავალი და ხასიათი, ჩვენ კი — მაყურებლებს, მისი ამოკითხვა უნდა შეგვეძლოს.

ადამიანის ხასიათის გადმოცემის მიზნით მხატვარი ხანდახან შეგნებულად არღვევს პორტრეტის მსგავსებას ორიგინალთან, იმისათვის, რომ მიანიჭოს მას სურათზე ესა თუ ის გამომეტყველება, ან გააძლიეროს მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. ერთი სიტყვით, შეძლებისდაგვარად სრულად გახსნას ადამიანის ბუნება. ჩვენ დღეს ვუყურებთ პორტრეტებს, რომლებიც რამდენიმე ასეული წლის წინათაა შესრულებული. თუ გამოსახული პიროვნება ისტორიაში ცნობილი არ არის, ჩვენთვის დღეს სრულებით არაა საინტერესო რამდენად ჰგავს სურათზე გამოხატული კაცი თავის თავს. ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ რისი ამოკითხვა შეგვიძლია პორტრეტზე გამოსახული კაცის შესახებ. ამრიგად, გასულ საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშების დათვალიერებისას ჩვენთვის უკვე ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ექნება ადამიანის სახის ნაკვთების ფოტოგრაფიულ მსაგვსებას, თუკი ადამიანის შინაგანი ბუნებაა სურათში გადმოცემული.

ის, რომ მხატვარი გულგრილად კი არ გადმოგვცემს კაცის სახეს, არამედ თავისი შეხედულებისდა მიხედვით, ანუ სუბიექტურად ცვლის მას გამომხატველობის გაძლიერების მიზნით, განასხვავებს პორტრეტს ნატურის უბრალო ჩანახატისაგან, ეტიუდისაგან, რადგან ეტიუდში თუ ნატურაში ვერ ხერხდება ადამიანის ბუნების გახსნა.

დღეს პორტრეტი მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია (სახეობაა), როგორც ფერწერაში, ასევე ქანდაკებაში. პორტრეტი უძველესი დროიდან იტაცებდა მხატვრებს; ჩვენამდე დიდი რაოდენობითაა მოღწეული ძველისძველი პორტრეტები ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან თუ რომიდან. ბერძნულ და რომაულ ქანდაკებაში ხშირად გამოსახავდნენ იმდროინდელ გამოჩენილ ადამიანებს. ეგვიპტის ერთ-ერთ ოაზისში, ფაიუმში, ნაპოვნია ფერწერული პორტრეტები (მათ ასევე ეწოდებათ: ფაიუ-

მის პორტრეტები). ამ პორტრეტებს ატანდნენ მიცვალებულებს სარკოფაგში. ეს პორტრეტები, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებს განეკუთვნებიან, მეტად მაღალ მხატვრულ ოსტატობაზე მეტყველებენ.

ყველაზე მეტად პორტრეტის ჟანრი განვითარდა რენესანსის ეპოქაში, როცა გაჩნდა ინტერესი ადამიანის, პიროვნების მიმართ. რენესანსის დროს შეიქმნა პირველი შედევრები პორტრეტის ჟანრში. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სურათი, ჯოკონდას პორტრეტი, შექმნილი გენიოსი იტალიელის, ლეონარდო და ვინჩის (1452—1519) მიერ, ამ ჟანრის უკვე სავსებით განვითარებულ საფეხურს წარმოადგენს. მონა ლიზა ჯოკონდა, იტალიელი დიდვაჭრის მეუღლე, ჩრდილო იტალიის პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. არისტოკრატი ქალის სახე აუღელვებელ სიმშვიდეს გამოხატავს. უამრავი რამ დაწერილა ჯოკონდას შესახებ, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ხიბლავს მაყურებელს. მისი მსუბუქი ღიმილი სულიერი სიმშვენიერის ემბლემადაა ქცეული.

ახლებურად განვითარდა პორტრეტი XVII საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში. სხვადასხვა ქვეყანაში პორტრეტი სხვადასხვა ხასიათისაა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი უპასუხებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც დრო და პირობები კარნახობდნენ. მაგ., ჰოლანდიელი მხატვრის ფრანც ჰალსის (1580-1666) პორტრეტები გამოხატავენ ჰოლანდიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სახეებს.

უდიდესი ესპანელი მხატვრის დიეგო ველასკეზის (1599-1660) პორტრეტები წარმოგვიდგენენ ესპანეთის მეფის კარის ცხოვრებას: თვით მეფეს, მის შვილებს (ინფანტებს, როგორც მათ ეწოდებოდათ), მეფის მინისტრებს. ველასკეზს ცხოვრების მეორე მხარეც აინტერესებდა — მას შესრულებული აქვს მრავალი პორტრეტი საპყარი, მახინჯი მასხარებისა და მსახურებისა.

ყველაზე დიდი პორტრეტისტი მსოფლიო ხელოვნებაში იყო ჰოლანდიელი რემბრანდტ ვან რეინი (1606-1669). რემბრანტს მარტო თავისი საკუთარი პორტრეტი, ე. ი. ავტოპორტრეტი, თითქმის ასი აქვს შესრულებული. რემბრანდტის პორტრეტებზე ჩვენ ვხედავთ მოხუც ქალებს და კაცებს, რომლებიც დაღლილან ცხოვრების ძნელი გზით, მისი მძიმე უღლის ტარებით. მათ სახეებში ცხოვრების სიბრძნე გამოსჭვივის.



ფ. ჰალსი,
კაცი, რომელიც ხელთათმანს იცვამს

ევროპულ ხელოვნებაში საუკუნეთა მანძილზე მრავალი შედევრია შექმნილი. ამ დარგში რუსულ ხელოვნებასაც დიდი მიღწევები აქვს. მეტად საინტერესოა რუსი მხატვრის ვალენტინ სეროვის (1865-1911) პორტრეტები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის ბურჟუაზიის ცხოვრებას ასახავენ.

დღეს საბჭოთა ხელოვნებაში პორტრეტს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ დარგში ბევრი შესანიშნავი ნიმუშია შექმნილი ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მხატვრები, როგორიც ფერმწერი ქეთევან მაღალაშვილი ან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეა (1876-1951), რომელთა დახვეწილი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრები ფსიქოლოგიური პორტრეტის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენენ. მათი პორტრეტების ნახვისას მაყურებელს თვალწინ უდგება საბჭოთა ადამიანის სულიერი სიდიადე; საბჭოთა პორტრეტის ამოცანაც ესაა, შექმნას მნახველში ისეთი განწყობილება, რომ სულიერად აამაღლოს იგი, რომ მის მნახველს მოუნდეს იყოს ყველაფერში მოწინავე და სხვისთვის მისაბაძი.

9768

ეროვნული ბიბლიოთეკა



განყოფილება მიჰყავს
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატს

არლი თაყაიშვილს

მთვარე — დედამიწის თანამგზავრი ციური სხეული, რომელიც ღამე ანათებს მზის სინათლის ანარეკლი შუქით. „და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი, ალაზნის ველზე წამოიხარა" (ილია). მთვარეს, ისევე, როგორც მზეს, პოეზიაში ხშირად აიგივებენ საყვარელ ადამიანთან: „მივალ, გადავკოცნი ჩემსა მთვარესა" (გალაკტიონი).

ახალ მთვარესავით გამოჩნდებაო, — ფიგურალურად ამბობენ კაცზე, რომელიც იშვიათად გამოჩნდება ხოლმე.

მაგრამ მთვარეს ერთგვარი „ჩრდილიც" აქვს მიყენებული; წინათ მის ზემოქმედებას მიაწერდნენ ფსიქიურ ავადმყოფობას, რომლის დროსაც ადამიანი თითქოს მძინარე დადიოდა და სხვადასხვა მოქმედებას მექანიკურად ასრულებდა (მაგ. სახურავზე ან ხეზე აძვრებოდა და სხვ). ასეთ ავადმყოფებს ახლაც მთვარეულის სახელი შემორჩათ.

მთვარის თავდაპირველი ფორმა იყო მთოვარე. „მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას" (ნ. ბარათაშვილი); მთოვარე მიმღეობის ფორმაა (მ-თოვ-არ-ე) და იმავე თოვ ძირისაგანაა ნაწარმოები, როგორც მ-თოვ-ელ-ი: „ვერვისა გული მოიგო, ცრემლისავეა მთოველი" (ვაჟა). მ-თოვ-არ-ე, მ-თოვ-ელ-ი, ესე იგი, ის რაც სხივებს უხვად აფრქვევს, ათოვებს.

საქმე ისაა, რომ მთვარეს ძველ ქართულში სხვა სახელი ერქვა. მთოვარე მისი ეპითეტი იყო (ისევე, როგორც დღეს მთვარის ეპითეტებია: ახალი, ძველი, ბადრი). შემდეგ მთოვარემ განდევნა ამ ციური სხეულის ნამდვილი სახელი, გაარსებითდა და თვითონ იქცა მის გამომხატველად (ისევე, როგორც წინათ მშობელი ზედსართავი იყო: მშობელი დედა, ესე იგი, დედა, რომელიც შობდა, შემდეგ კი მშობელი გაარსებითდა და დედის სინონიმად იქცა).

მთოვარემ ფონეტიკური ცვლილება განიცადა: ვ-ინის წინ ო ამოვარდა და მივიღეთ მთვარე.

თვე — დროის ერთეული, ასტრონომიული წლის მეთორმეტედი ნაწილი. იანვარი, თებერვალი... და ა. შ. „თვეები თვეებს მისდევდა, წელიწადები წელიწადებს" (ი. გოგებაშვილი).

თვე-ს თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო თუთე. ქართულის მონათესავე მეგრულ-ჭანურში მის შესატყვისად თუთა გვაქვს. სიტყვის ბოლოს მოქცეული მახვილის მიზეზით ქართულმა თუთე-მ ფორმა იცვალა: თთუე. ეს ფორმა დასტურდება კიდეც „შუშანიკის წამების" წიგნში: „და კუალად ტანჯვად ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა." შემდეგ, სიტყვის თავში თავმოყრილი თანხმოვნებიდან ერთ-ერთი დაიკარგა: „მოკუდა თუესა სეკდენბერსა". ბოლოს ხმოვანმა უ-მ დაკარგა მარცვლიანობა, დაემსგავსა თანხმოვან ვ-ინს და მივიღეთ თვე.

აღსანიშნავია, რომ თვე (თუე) თავდაპირველად მხოლოდ დროის ერთეულს არ გამოხატავდა. სწორედ თვე იყო იმ ციური სხეულის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც შემდეგ მისმა ეპითეტმა (მთოვარემ) გამოდევნა. მეგრულ-ჭანურში მთვარეს დღესაც თუთა ჰქვია. დროის ერთეულისა და ამ ციური სხეულის ერთი სახელით გამოხატვა სხვა ენებშიც დასტურდება. მაგ. **месяц**, რომელიც თვესაც აღნიშნავს და მთვარესაც.






აზერბაიჯანული ჟურნალი

„ПИОНЕР"

სტუმრად

პიონერთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიქმეთ ზია

# გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა
ია-ვარდით ფენილი,
დანავარდობს მერცხალი
შორიდან მოფრენილი.
ყვავილებმაც მინდვრიდან
გაზაფხული გვახარეს,
კუნტრუშობენ ხბორები
საფურე და სახარე.

მთებმა თოვლიანებმა
გადიყარეს ქათიბი,
მალე აბიბინდება
სამკალი და სათიბი.
კასპიის ზღვა ბობოქრობს,
კასპიის ზღვა მღელვარებს,
მზით გამთბარი კენჭები
ათასფერად ელვარებს.

გაიხარა ხეხილმა,
რა სკდომაა კვირტების!—
აიყარა ყლორტები,
ხელით ველარ მიწვდები.
ნისლი გაქრა უკვალოდ,
მთა გამოჩნდა შორიდან,
ჩემს მამულში ნანატრი
გაზაფხული მოვიდა!

თარგმნა
ლეილა ერაძემ.

# ფალავანი

მოთხრობა

ბავშვებო, მე მინდა მოგითხროთ ერთი ამბავი, რომელიც თავს გადახდა ეშლანს.

ალბათ იტყვით, ეს ეშლანი ვიღააო? თუ ასეა—მომისმინეთ.

გასული წლის ზაფხულის არდადეგები ბიძაჩემის სოფელში გავატარე. ეშლანიც სწორედ იქ გავიცანი. იგი ბიძაჩემის მეზობლად ცხოვრობდა. მეტად ზანტი ბიჭი იყო. დედამისი დილით ადრე ცდილობდა მის გაღვიძებას, მაგრამ ამაოდ,—ვიდრე საწოლს მზე არ მიაცხუნებდა, ეშლანი ლოგინიდან არ წამოდგებოდა. როცა ადგებოდა, მაშინაც დედას ხელს არაფერში შეაშველებდა, არ ეხმარებოდა.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ეშლანი მეტისმეტად მსუქანი ბიჭი იყო. ნაბიჯი ოდნავ რომ აეჩქარებინა, სული ეხუთებოდა. მაგრამ ეს მას სულაც არ აფიქრებდა, პირიქით—თავისი სიმსუქნით ამაყობდა კიდეც.

ერთ დღეს ბაღში დავსეირნობდი. ეშლანის ხმა შემომესმა, მივუახლოვდი. თანაკლასელებს ესაუბრებოდა. ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ ვინ რა უნდა გამოსულიყო. როცა ჯერი ეშლანზე მიდგა, მან თქვა:

— მე ფალავანი უნდა გავხდე...

ეშლანს სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ ბავშვებმა სიცილი დააყარეს.

— ფალავანს დამიხედეთ! თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ უვარჯიშნია,—თქვა ერთმა ლოყაწითელა ბიჭმა.

ეშლანმა იხტიბარი არ გაიტეხა და უპასუხა:

— მერე რა, სამაგიეროდ მე თქვენზე მსუქანი ვარ, რომ მოვინდომო, ყველას წაგაქცევთ.

— თუ აგრეა, მოდი ვიჭიდაოთ,—უთხრა ერთმა ბიჭმა და წინ წამოიწია.

ეშლანი მიუახლოვდა ბიჭს, მაგრამ თვალის დახამხამებაში ზურგზე გაშხლართული აღმოჩნდა. ძლივს წამოდგა და ტანსაცმელი დაიფერთხა.

ამის შემდეგ, ყოველ დილით, როცა გამოვიღვიძებდი, მესმოდა ეშლანის ხმა. იგი ვარჯიშობდა:

— ერთი, ორი, სამი...

ოფელია მამედოვა,
ჯულფის რაიონის სოფ. ვანანდის
სკოლის მოსწავლე.





# ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარიმან სულეიმანოვი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

მოთხრობა

შინ ყველას ეძინა. მეც გავიხადე და დაწოლას ვაპირებდი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ოთახში სიჩუმე იყო და ზარი უფრო წკრიალებდა, ვიდრე საერთოდ. წკრრრ! რატომღაც ეს წკრიალი ამჯერად მღელვარე, აფორიაქებული მეჩვენა. თითქოსდა რაღაც მოხდაო, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი!.. მივირბინე და ყურმილი ავიღე.

— დიახ!

ხმას არავინ იღებდა.

— ალო!

კვლავ არავინ მიპასუხა.

— გისმენთ!

— ...

— თუ რეკავთ, ხმა ამოიღეთ, მიპასუხეთ! — გაჯავრებულმა დავდე ყურმილი.

ნეტავი, რატომ არ მიპასუხეს? ნეტავ, ვინ უნდა ყოფილიყო? ამ უდროო დროს ვის რა საქმე უნდა ჰქონოდა? იქნებ ტელეფონს ამოწმებენ! თავში ათასნაირი ფიქრი მომდიოდა. უცებ მამა გამახსენდა, იქნებ მან დარეკა?

მამაჩემი ზღვაში—ნავთის ჭაბურღილებზე მუშაობს. მბურღავია, თანაც სოციალისტური შრომის გმირი. მამა დღეების უმეტესობას ჩვენგან შორს, ნავთის ჭაბურღილებზე ატარებს, მაგრამ შინ მაინც იშვიათად რეკავს, ისიც მაშინ, თუ მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. მამაჩემს ტელეფონით ლაპარაკი არ უყვარს. ამის გამო დედა ხშირად საყვედურობს მას:

— მგონი, ჩვენ სულაც არ გაგონდებით.

— როგორ?!

— ზოგჯერ დაგვირეკე მაინც, რომ ჩვენც მშვიდად ვიყოთ.

— მართალს ამბობ, მაგრამ... იმდენი საქმე მაქვს, რომ ყველაფერი მავიწყდება ხოლმე.

ზღვის ნავთის ჭაბურღილებთან ტელეფონით დაკავშირება მეტად საინტერესოა. იქ განსაკუთრებული ტელეფონია, ისეთი კი არა, ქალაქში რომ გვაქვს. ასე რომ, კავშირი რადიოტალღების საშუალებით მყარდება, რადგან აქედან ზღვის შუაგულში ტელეფონის ხაზის გაყვანა შეუძლებელია. თანაც ასე ჯობია. აი, შენ აქ დგახარ, შენი ხმა კი წყალსა ჰკვეთს და შორს მიდის. თვითონ ხმელეთზე ხარ და ზღვას კი უკავშირდები. ამიტომ მეც ავუბი მხარი დედაჩემს და მამას ძალიან, ძალიან ვთხოვე, რომ ხშირად დაერეკა. მაგრამ მამა...

ერთხელ რადიომიმღებს ვუკირკიტებდი. უცებ რადიოში ორი ადამიანის საუბარი გაისმა. ერთი ბოხი ხმით, ალერსიანად ლაპარაკობდა, მეორე კი ბავშვი იყო, წვრილი ხმა ჰქონდა. მივხვდი, რომ ეს ჩვეულებრივი რადიოგადაცემა არ იყო. საიდანღაც, შეიძლება ზღვის ჭაბურღილებიდან, ლაპარაკობდნენ. მათი ხმა რადიოქსელში ჩართულიყო.

— დედას დაუჯერე, შვილო!

— დიახ, მამა, ვუჯერებ.

— ყოჩაღ, შვილო! ვიცოდი, რომ ჭკვიანი ბიჭი იყავი.

— საიდან იცოდი, მამა?

— იცი, შვილო, ბავშვს ჭკუა სახეზე და თვალებში ეტყობა.

შემდეგ გაისმა ხრიალი, ვეღარაფერი გავიგონე, მაგრამ მათი საუბარი ისე მომეწონა, რომ მეც მამაჩემთან ლაპარაკი მომინდა. მამა კი არ რეკავდა.

ამ ფიქრებში გართული, ლოგინში ჩავწექი და ტელეფონმა ისევ დარეკა. წეღანდელზე უფრო შეშფოთებით აწკრიალდა ზარი. დედაჩემს მეორე ოთახში ეძინა. არ გაეღვიძოს-მეთქი და, სწრაფად წამოვხტი, შუა კარი მივხურე, ყურმილი ავიღე:

— ალო!

ამ დროს უცნაური ხრიალი გაისმა. ხრიალი კი არა, ჩიტის ფრთხიალს უფრო ჰგავდა, თითქოს ყურმილში ბეღურა ჩაფრენილიყო.

ნეტა ვინ არის-მეთქი, ვიფიქრე. ჩანს, რაღაც აუცილებელი საქმეა!

აუცილებელი საქმე! მნიშვნელოვანი საკითხი! ეს თუ მამაა— რა დასჭირდა, რომ ასე გვიან... იქნებ დედა გავაღვიძო? არა! რატომ უნდა შევაშფოთო დედა. მე ხომ დიდი ბიჭი ვარ! განა



არ შემიძლია ტელეფონით საუბარი? ამ დროს ყურმილში ხრიალი შეწყდა და გარკვევით გაისმა:

— ალო! ალო!

სიხარულისაგან ფრთები შემესხა. ის არის .. მამაჩემია! ნეტავ, რატომ რეკავს? მამას უცნაური ხმა ჰქონდა, ლაპარაკობდა ბოხი ხმით და გამოთქმით. თითქოს ლევიტანი ლაპარაკობსო მოსკოვიდან და მნიშვნელოვან, დიდად მნიშვნელოვან ამბავს გადმოსცემსო!..

— დიახ, მამა!

— გამარჯობა, აქიფ!

— გაგიმარჯოს.

— როგორ ხარ, შვილო?

—კარგად ვარ. შენ როგორ, მამა?

— მეც კარგად ვარ, შვილო. დედაშენს სძინავს?

— დიახ.

— იცი რატომ დაგირეკე, შვილო?

— არა, მამა.

— ერთი მითხარი, გუშინწინ არითმეტიკაში რა მიიღე? ამოცანა გქონდათ ამოსახსნელი და... უცებ გამახსენდა, დაგირეკე.

პასუხის გაცემა არ მინდოდა, მამა კი იმეორებდა.

— ალო!

— ...

— აქიფ!

...მე უკვე აღარაფერი მესმოდა, თითქოს დავყრუვდი. ყურები მიზუოდა. მხოლოდ ამიტომ დარეკა მამამ? შინ რომ მოვიდოდა, განა ვერ გაიგებდა? ნუთუ ჩემი არითმეტიკა ამდენად მნიშვნელოვანი საქმეა? ახლა რა ვუპასუხო? რაღაც მიჭერდა ყელში, ლაპარაკს მიშლიდა... „სამის“ სათქმელად ენა არ მემორჩილებოდა. აქედან იქ — ზღვის შუაგულში ლაპარაკი და „სამის“ თქმა განა საკადრისი იყო? ვაი სირცხვილო! ერთი გაჭირვებული სამიანი! რა თქმა უნდა, სირცხვილი იყო. მე ეს მხოლოდ ახლა, მამასთან ლაპარაკის დროს ვიგრძენი. ასე მეგონა, ყველა გაიგებდა, ნავთის ჭაბურღილებზე მომუშავენი ყველანი გაიგონებდნენ და მასხარად ამიგდებდნენ!..

ვერც კი ვიგრძენი, ისე ჩამომივარდა ხელი დაბლა...

ფიქრებით დამძიმებული დავუბრუნდი საწოლს. ძილი არ მეკარებოდა. ალბათ მამაჩემსაც არ ეძინა. იწვა და ჩემზე ფიქრობდა... ფიქრობდა, თუ როგორ ვსწავლობდი...

ფიქრებმა შემაწუხა, ლოგინში ველარ გავჩერდი, წამოვდექი, ფრთხილად მივედი მაგიდასთან. წინ ახალი რვეული დავიდე. ავიღე კალამი. არითმეტიკის წიგნი გადავშალე...

მეორე დღეს გაკვეთილებიდან ძალიან გახარებული დავბრუნდი. რატომ, რისთვის? — მამასთან მინდოდა ლაპარაკი! მინდოდა ჩემი წუხანდელი საქციელის გამო მობოდიშება და მისთვის მნიშვნელოვანი, მეტად მნიშვნელოვანი ამბის თქმა. მაგრამ, როგორ დავურეკო? რომ დავურეკო კიდეც, განა მამა ადგილზე დამხვდება? მას ხომ სულ არ სცალია; ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონმა ისევ დარეკა და ისევ წუხანდელივით აღელვებულმა, — თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, ყურმილი ავიღე.

— ალო!

ის იყო, ისევ მამაჩემი იყო!

— მამიკო! — შევძახე გახარებულმა, — მოიცა, ერთ წუთს მომიცადე!

გავიქეცი, ჩანთიდან არითმეტიკის რვეული ამოვიღე.

— მამიკო, შესე, ხუთი მივიღე, ხუთი!

ასე მეგონა, მამაჩემი ხედავდა ჩემს რვეულში წითელი მელნით ჩაწერილ ხუთიანს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ხედავდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, აუცილებელი საქმეა, თორემ მამაჩემი განა წუხელ, ისე გვიან, ნავთის ჭაბურღილებიდან დარეკავდა? რა თქმა უნდა — არა!

თარგმნა ვენერა ჯანბიძემ





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჯურხა ნადირაძე

ფოტო ავტორისა

შირ-დორის მედრესე რეგისტანის მოედანზე.



დირექტორმა გამომიძახა და მითხრა: მივლინებაში უნდა წახვიდე, შუა აზიაშიაო. ეს ამბავი ელდასავით მეცა გულზე, — ექსპედიციიდან ახალდაბრუნებული ვიყავი და გარე-გარე ხეტიალი მოწყენილი მქონდა. სამსახურიდან უხასიათოდ გამოვედი და რუსთაველის პროსპექტს გავუყევი. სუსხიანი ქვენა ქარი ჰქროდა, ჭადრებს უკანასკნელ ტვირთს აცლიდა.

იმ ღამეს ქარი ჩადგა. თბილისში მზიანი დილა გათენდა. არასოდეს დამავიწყდება ის დილა; გაზეთი ვიყიდე და ტროლეიბუსში ავედი. მეოთხე გვერდზე შავი, წვრილი ასოებით ეწერა ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის დანიშნული იყო 18 ნოემბერს, ქალაქ ტაშკენტში.

დილით, ჩემმა დირექტორმა, მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა და საოცრად კეთილმა კაცმა, გულდასმით მომისმინა; მერე ეშმაკურად ჩაიღიმილა და საქმეთა მმართველს უთხრა: ბრძანება სამარყანდში და ბუხარაში ჩემი მივლინების შესახებ 16 ნოემბრის რიცხვით გაეფორმებინა.

იყო დრო, როდესაც აღმოსავლეთში მიმავალი ყველა გზა სამარყანდაზე და ბუხარაზე გადიოდა, მაგრამ დროება შეიცვალა და ამ უძველესმა ქალაქებმა პირველობა ტაშკენტს დაუთმეს. სამარყანდში მიმავალი, 17 ოქტომბერს ტაშკენტში უნდა ჩავფრენილიყავი. მეორე დღეს მე აქ მელოდა დიდი სიხარული ან მწარე სინანულის განცდა...

...თვითმფრინავი საშინელი ღრიალით შეასკდა ზეცას, სინათლეს გაექცა და სადღაც ყარაყუმის თავზე შეეფეთა აღმოსავლეთის ღამეს. მეორე დღეს ჩირაღდნებით განათებულ ტრიბუნებიდან, უამრავ გულშემატკივრებთან ერთად, მეც ვესალმებოდი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს, რომლებსაც ხელში ჩემპიონის ალისფერი დიპლომები ეჭირათ და მოედანს საპატიო წრეს უვლიდნენ.

## სამარყანდი

19 ნოემბერს დიდი, წითელი ავტობუსი სამარყანდისაკენ მიმაქროლებდა. გავიარე სოფლები, ქალაქები, მზით გადატრუსული ველები... ვნახე ამ ველების მაცოცხლებელი, წყალუხვი სირდარია და ზერავშანის ხეობაში შევედი. ვიცოდი, რომ აქედან სამარყანდი შორს აღარ იყო. უჩვეულო გრძნობა დამეუფლა: რამ-



დენიმე საათის შემდეგ ვნახავდი ჩემი სამშობლოს უბოროტესი მტრის — თემურ-ლენგის საფლავს. კიდევ კარგი, რომ სამარყანდის ისტორია მარტო თემურ-ლენგთან არ არის დაკავშირებული. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სახელმოხვეჭილი მეცნიერები, პოეტები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, რომლებმაც სამუდამო დიდება მოუტანეს აღმოსავლეთის ამ უძველეს ქალაქს. სამარყანდმა შუა საუკუნეებში მიაღწია განსაკუთრებულ აყვავებას. სწორედ ამ ხანის არქიტექტურული ძეგლებით არის ახლა იგი დამშვენებული. როდესაც ქალაქში შედიხარ, ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი შენობის ნანგრევები; ეს ბიბი-ხანიმის მეჩეთია.

ინდოეთიდან დაბრუნებულმა თემურ-ლენგმა, რომელსაც თან მოჰქონდა აურაცხელი ოქრო და ვერცხლი, ზარ-ზეიმით შეაღო ქალაქის მისადგომების კარი მდინარე ზერავშანთან. მის ჯარისკაცებს თან მიჰყავდათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის მანამდე უცნობ ცხოველთა ჯოგი. უზარმაზარი სპილოების ფეხქვეშ ბული ასდიოდა მზით გაფხვიერებულ შუა აზიის მიწას...

კოჭლმა დამპყრობელმა ბრძანება გასცა — სამარყანდში აეშენებიათ მეჩეთი. ამ გრანდიოზული ნაგებობის მშენებლობაზე სპილოებით ეზიდებოდნენ ვეება ქვის ლოდებს და უზარმაზარ მორებს. ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ დაპყრობილი ქვეყნებიდან მორეკილი მონატყვეები. „200 აზერბაიჯანელი, სპარსელი, ინდოელი ქვისმთლელი მუშაობდა მეჩეთის მშენებლობაზე, 500 კაცი ქვას ტეხდა ფენჯიკენტის მთებში; მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მხატვრები, ხელოსნები და ხუროთმოძღვრები იყვნენ თავმოყრილი თემურის ტახტთან და, ვისაც რით შეეძლო, თავისი წვლილი შეჰქონდა მეჩეთის მშენებლობაში“, — ასე გადმოგვცემს თემურის თანამედროვე ისტორიკოსი შერიფ-ედ-დინ-ალიაზდი. თემურ-ლენგმა სამარყანდის შემოგარენში ააშენა ლამაზი სასახლეები, უდიდესი ბაღები, მაგრამ ისინი ისევე მალე განადგურდა და დაინგრა, როგორც მის მიერ შექმნილი უდიდესი იმპერია.

მრავალგზის ილაშქრა თემურ-ლენგმა საქართველოში — ბრწყინვალე ხუროთმოძღვრების ქვეყანაში; მძვინვარე დამპყრობელმა დარბეული საქართველოდან შუა აზიის მომქანცავი გზით გაირეკა ურიცხვი ხურო, მხატვარი, ჩუქურთმისმჭრელი.

დგახარ ახლა ბიბი-ხანიმის დანგრეულ თაღებქვეშ, ფიქრობ შორეულ წინაპრებზე, რომლებიც მოსისხლე მტრის ქვეყანაში იძულებით აშენებდნენ სრა-სასახლეებს და სამშობლოდან შორს, ტყვეობაში დალიეს განაწამები სული. „ეს მეჩეთი მის დამაარსებელს ჰგავდა. ქვები ტვირთად აწვა მის კედლებს და ამძიმებდა მის გუმბათს ისევე, როგორც მის ამგებ თემურს ამძიმებდა ჩადენილი ცოდვები“, — წერს მემატიანე იბნ-არაბ-შახი.

ახლა ერთადერთი კაციღა ემსახურება ამ მეჩეთს. აღმოსავლელ მოხუცს სახეზე ისეთი მედიდური გამომეტყველება აქვს, როგორც ბიბი-ხანიმის ნანგრევებს შეეფერება.

ამას ვერ იტყვი მეორე მოხუცზე, რომელიც გური-ემირის აკლდამის დარაჯია. ორი საათი დავყავი უცნაური ნაგებობის კედლებს შორის და, ამ ხნის განმავლობაში მოხუცმა ოთხჯერ მოასწრო ჩხუბი დამთვალიერებლებთან. მან რამდენიმე სიტყვა იცის გური-ემირის აკლდამაში დასაფლავებულ თემურ-ლენგზე და მის შთამომავლებზე. უზარმაზარი გუმბათის ქვეშ გამყინავად ისმის მის მიერ აღმოსავლურ კილოზე წარმოთქმული რუსული სიტყვები. და, ვაი მას, ვინც ამ დროს ხმას ამოიღებს!..

გური-ემირი გუმბათოვანი ნაგებობაა. ეზოს შესასვლელში აღმართულია ნაირფერი ორნამენტით შემკული კარიბჭე; ფილებით მოპირკეთებულ ეზოში რომ ჩახვალ, თვალწინ აღიმართება ფერადი ჩუქურ-





სამარყანდი. შახი-ზინდას არქიტექტურული ანსამბლი.

ბუხარა. ისმაილ სამანიდის მავზოლეუმი. IX-X ს.ს.

ბუხარა. მინარეთი კალიანი. XII ს.



თმით მოხარატებული კედლები და ცაში აზიდული ლურჯი გუმბათი. გუმბათის ქვეშ, შუა ადგილას თვალისმომჭრელად ბზინავს ნეფრიტის ქვისაგან გამოკვეთილი საფლავის ქვა. ქვის ქვეშ, პირველ სართულზე, მარხია კაცი, რომელმაც ამ ექვსასი წლის წინათ უბედურება მოუტანა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. სიკვდილის მთესველ მტარვალს ეშინოდა სიკვდილისა, და საკუთარი ნეშტის განსასვენებლად ააგებინა უზარმაზარი მავზოლეუმი. მაგრამ მიწა ამ ბრწყინვალე ნაგებობის ქვეშაც ისეთივე გულგრილია, როგორც ღია ცის ქვეშ.



ულუგბეგის მედრესე და თილა-ქარის მინარეთი რეგისტანის მოედანზე

აქვეა მეორე საფლავის ქვა. დიდების შარავანდედი მოსავს იმ კაცის სახელს, ვინც მის ქვეშ განისვენებს. ეს თემურ-ლენგის შვილიშვილის, ულუგბეგის საფლავია.

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ევროპელი მხატვრები ულუგბეგს ხატავდნენ მსოფლიოს უდიდეს მეცნიერთა შორის, და სრულიად სამართლიანადაც. მეთხუთმეტე საუკუნის მოღვაწე ულუგბეგი ორმოცი წლის მანძილზე მართავდა ამუდარიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებს. მან თავისი სატახტო ქალაქი სამარყანდი იმდროინდელი აღმოსავლეთის მეცნიერების ცენტრად გადააქცია. მისი ბრძანებით, სამარყანდში აშენდა უდიდესი ობსერვატორია, საიდანაც ახდენდნენ დაკვირვებებს ცის მნათობებზე. ულუგბეკთან ერთად ობსერვატორიაში მუშაობდნენ მეცნიერები ყაზი-ზადე-რუმი, ალი-ყუში, მუსა-ბენ-მაჰმუდი და სხვები. მათ დაწერეს წიგნი „ზიჯი-ი-გურგანი“, რომელიც დღესაც ძვირფას ნაშრომს წარმოადგენს ასტრონომიულ მეცნიერებაში.

შებინდებისას, თემურიდების საგვარეულო აკლდამა დავტოვე და ჭადრების ხეივანს გავუყევი. ხეივნის ბოლოს, მთვარით განათებულ მოედანზე, აღმართული იყო მინითა და რკინა-ბეტონით ნაგები ლამაზი შენობა, რომლის ფასადზე გაკრული აფიშა იუწყებოდა, რომ სამარყანდის ოპერისა და ბალეტის თეატრში უჩვენებდნენ „პოეტის გულს“. ეს ოპერა გამოჩენილმა უზბეკმა მუსიკოსმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა აშრაფმა დაწერა.

სულგანაბული დარბაზი უსმენდა მშობლიური მუსიკის ჰანგებს და ყოველი აქტის დამთავრების შემდეგ ტაშის გრიალით აჯილდოვებდა მსახიობებსა და სამარყანდში საოპერო ხელოვნების ფუძემდებელს, კომპოზიტორ აშრაფს.

შუადღისას სამარყანდის ბაზარს ჩავუარე. გორებად დახვავებული ვეებერთელა, ხოხბისფერი ნესვების გვერდით მოკალათებულიყვნენ თეთრჩალმიანი უზბეკი კოლმეურნეები და ფაიფურის ლამაზი ფინჯნებიდან სიამოვნებით წრუპავდნენ ქართულ ჩაის.

სამარყანდის ბაზარმა ერთი ჩვენი სახელოვანი თანამემამულე გამახსენა. იგი ამ სამოცდაათი წლის წინ ფუნჯით ხელში დადიოდა ამ ქალაქის ქუჩებში და აქაური ცხოვრება ტილოზე გადაჰქონდა. ბევრი რამ, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ქალაქისათვის, დრომ თან წაიღო. გიგო გაბაშვილი ხატავდა არქიტექტურულ ძეგლებს, ფაშფაშა ვაჭრებს და სიდუხჭირისაგან განაწამებ უზბეკ გლეხებს, რომლებიც თავიანთი აქლემებით გადმოსერავდნენ ხოლმე უდაბნოებს და სამარყანდში მოდიოდნენ სალოცავად ან სავაჭროდ.

დღეს შუა აზიის ველები და უდაბნოები ავტოსტრადებით არის დაქსელილი. აქლემებს სამარყანდში მომავალი გზები მანქანებმა გადაუღობეს და, ახლა ვისაც „უდაბნოს გემის“ ნახვა უნდა, ქალაქიდან შორს მოუხდება წასვლა. დიდი ხანია რეგისტანის მოედანზე აღარავის უნახავს მიწაზე დამხობილი მლოცველები და აღარც მოლების ყივილი გაუგონია ვისმე ცაში ატყორცნილი მინარეთებიდან.

რეგისტანი ძველ ფოტოსურათებზე მქონდა ნანახი და ოდნავ მეუცნაურა იგი. აღარსად იყო სახელდახელოდ აღმართული ფანჩატურები, საზამთროს გორები და მწვადის შესაწვავი მაყალი, ჩალმით დამშვენებული თეთრწვეროსანი მყიდველები, გამყიდველები და მლოცველები. ფილაქნიან ეზოში ტურისტები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებდნენ და გაოცებით შესცქეროდნენ ძველი დროის უმაღლესი სასწავლებლების შენობებს, რომელთა კედლები და გუმბათები თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ გავარვარებული მზის ქვეშ.

რეგისტანი, სადაც ამჟამად მედრესეს სამი შენობა დგას, მოთავსებულია სამარყანდის ცენტრში. ოდესღაც აქ პატარა, ქვიშიანი ზეგანი ყოფილა და სახელწოდებაც ამის მიხედვით მიუღია, — „რეგისტანი“ ქვიშიან ადგილს ნიშნავს. აქ 1417-20 წლებში, ულუგბეგის ბრძანებით, აშენდა მედრესე და იგი ახლაც მის სახელს ატარებს. ულუგბეგის მედრესე საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ხუროთმოძღვართა შთაგონების წყაროს. შუა აზის ქალაქებში მრავალი სასულიერო სასწავლებლის შენობა მისი მიბაძვით აიგო. სასწავლებლის გახსნის დღეს ოთხმოცდაათი მოწაფისათვის ლექცია წაუკითხავს მედრესეს რექტორს მუჰამედ ჰავაფს. ლექცია ისე ღრმააზროვანი ყოფილა, რომ იგი მხოლოდ ორ მსმენელს გაუგია — ულუგბეკსა და ყაზი-ზადე-რუმის. ულუგბეკი შემდეგში თვითონაც კითხულობდა ლექციებს ამ სასწავლებელში.

ულუგბეგმა ერთ-ერთი მედრესის კარზე წააწერა: „ცოდნისაკენ სწრაფვა ყველა ქალისა და მამაკაცის მოვალეობაა!“ ეს ლოზუნგი მზესავით ანათებდა მუსულმანური რელიგიით დაბნელებული შუა საუკუნეების აღმოსავლეთს. ულუგბეგი ანგარიშს

უწევდა რელიგიას, მაგრამ ობსერვატორიიდან ცის მნათობებზე მოთვალთვალე კაცი არ შეიძლებოდა ღვთისმოსავი ყოფილიყო. სწორედ ეს ამბავი გამოიყენა სამარყანდელმა ტირანმა, ულუგბეგის უფროსმა შვილმა აბდალ-ალ-ლათიფმა. პაპის კვალზე წასულმა ლათიფმა საკუთარი მამა მუსულმან ფანატიკოსებს მოაკვლევინა. ულუგბეკის მოკვეთილ თავს სისხლიც არ ჰქონდა შემშრალი, რომ ფანატიკოსები მის მიერ აშენებულ ობსერვატორიას შეესიენ და მიწასთან გაასწორეს შუა საუკუნეების აღმოსავლეთის უდიდესი სამეცნიერო დაწესებულება. სამარყანდის მახლობლად ჩუპანატას უსიცოცხლო ბორცვზე დღესაც მოჩანს არქეოლოგების მიერ მზის სინათლეზე გამოტანილი ამ უზარმაზარი ნაგებობის ნაშთი.

მზე ამშვენებს სამარყანდის ნაგებობებს. განსაკუთრებით უხდება იგი შახი-ზინდას არქიტექტურულ ანსამბლს, რომლის გუმბათები ცაში ლურჯ ზვირთებად აზიდულან, ხოლო კედლები ცისარტყელასავით ელვარებენ ნაცრისფერ ბორცვებს შორის. შახი-ზინდა განსასვენებელია მათი, ვინც შუა საუკუნეების აღმოსავლეთში დაეხეტებოდნენ, ხალხს ისლამის ქადაგებით უბნელებდნენ გონებას და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა“.

გამოვემშვიდობე სამარყანდს, მეჩხერი ეკალბარდებით დაფარული გორები გადავიარე და აეროდრომზე ფეხით ჩავედი.

ერთი საათის შემდეგ, თვითმფრინავის სავარძელზე მოკალათებული ილუმინატორიდან თვალს ვადევნებდი მდინარე ზერავშანის წყლით გაცოცხლებულ ბაღ-ვენახებსა და ბამბის პლანტაციებს. მოტორები მძლავრად გუგუხებდნენ. თვითმფრინავი სწრაფად იმოკლებდა გზას ბუხარასაკენ.

## ბუხარა

იმავე დღეს კეთილმოწყობილ სასტუმროში დავბინავდი და, ვიდრე ბუხარას მინარეთები ღამის ბინდში გაუჩინარდებოდნენ, ვიწრო ქუჩებში მოსიარულე ხალხს გავყევი. მალე, იმ ადგილას აღმოვჩნდი, სადაც აღმართულია „მინარეთკალიანი“. რვაასი წლის წინათ აუგიათ ბუხარას შუაგულში ეს უზარმაზარი კოშკი. ამ ხნის განმავლობაში იგი თავისდაუნებურად გახდა ბევრი შემაძრწუნებელი ამბის მომსწრე და მონაწილე.



ᲡᲐᲛᲐᲠᲧᲐᲜᲓᲘ. ბიბი-ხანიმის მეჩეთის ნანგრევები



ᲡᲐᲛᲐᲠᲧᲐᲜᲓᲘ. ბიბი-ხანიმის მეჩეთის ნანგრევები

მისი ქონგურებიდან მოლა გაჰყიოდა ალაჰის სადიდებელს, გუშაგები უთვალთვალებდნენ ქალაქზე წამოსულ მტრის ლაშქარს; წითელპერანგიან ჯალათებს ვიწრო კიბეებზე ოფლის წურვითა და ვაი-ვაგლახით აჰყავდათ ემირების წინააღმდეგ ამხედრებულნი და ისლამის რჯულისადმი ერთგულებაში ღალატდებული დამნაშავეები, რომელთაც ორმოცდახუთი მეტრი სიმაღლიდან აგდებდნენ ძირს.

ხალხმა დიდი ხანია ბოლო მოუღო ემირების დესპოტობას, არც ამ ლამაზ ნაგებობას აპატია ძველი ცოდვები და ახლა მას „სიკვდილის მინარეთს“ ეძახიან.

ბუხარა — შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების უდიდესი მუზეუმია. მათ შორის ყველაზე უძველესი ძეგლი განმარტოებით დგას უზარმაზარი ბაღის ერთ კუთხეში. ეს IX-X საუკუნეებში აშენებული სამანიდების მავზოლეუმია.

ოთხკუთხედი, გუმბათოვანი ნაგე-



ᲡᲐᲛᲐᲠᲧᲐᲜᲓᲘ. გურ-ემირის მავზოლეუმი, XIV ს.

ბობა ჩუქურთმით გგონია აჭრელებული, მაგრამ, როცა მიუახლოვდები, ხედავ, რომ მის კედლებს არასოდეს შეხებია საჭრეთელი. აგური აქ სხვადასხვა კუთხით არის ერთმანეთზე დაწყობილი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შენობას მდიდარი ორნამენტი ამკობდეს.

აგურის პოსტამენტზე მშვიდად დგას იმ დროის მონუმენტური ნაგებობა, როდესაც ბუხარაში მოღვაწეობდა დიდი მეცნიერი ავიცენა, როდესაც ბუხარას ისტორიას წერდა ნარშახი, ხოლო გენიალური რუდაქი ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს. ამ დიდებული სახელების გვერდით ღარსად ჩანს მავზოლეუმის ამშენებლის გვარი; მის მიერ აგებულ სარკოფაგში, მართალია, ახლა ისმაილ სამანიდი განისვენებს, მაგრამ მავზოლეუმი, პირველ ყოვლისა, ძეგლია გვარდაკარგული გენიოსი ხუროთმოძღვრისა, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ შუა აზიის მონუმენტურ არქიტექტურას!

# შრომა

აკაკი ართილაყვა

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

მოთხრობა

მე და იორამი ერთ სკოლაში ვსწავლობთ, ერთ მერხზე ვზივართ... ჩემს სახლს ეზო არა აქვს, ამიტომ ბურთის სათამაშოდ იორამის ეზოში დავდივარ ხოლმე...

ეზოს ერთი მხრიდან დიდი გალავანი აკრავს. გალავნის გადაღმა ავეჯეულობის ფაბრიკაა. ფაბრიკის ჭიშკართან საგუშაგო ჯიხური დგას. თუ მზიანი დღეა — დარაჯი ჯიხურის წინ, სკამზეა წამოსკუპებული და თვლემს. მას თედო ჰქვია. მაღალ-მაღალი, მხრებში მოხრილი მოხუცია, ოდნავ თხელი, მოღუნული ცხვირი აქვს, ხელში განუშორებლად უჭირავს ყალიონი და ხრინწიანი ხმით ახველებს.

ერთხელ ბურთი გალავანს იქით გადაგვივარდა.

გალავანზე ავცოცდი და ეზოში გადავიხედე.

— გადადი, გადადი ჩქარა! — მომაძახეს ბიჭებმა.

ერთხანს ვყოყმანობდი. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და გადავხტი. მივირბინე კედელთან და ბურთი ავიღე. ის იყო გამობრუნებას ვაპირებდი, რომ ფეხის ხმა შემომესმა. უკან მიხედვა ვერც კი მოვასწარი, მოხუცმა მკლავში მტაცა ხელი.

— აქ ჩამოსვლის უფლება ვინ მოგცა! — დამიყვირა და მეორე ხელი ყურზე წამავლო.

— ძია, ბურთისთვის გადმოვედი, სხვა ხომ არაფერი დამიშავებია, — ვუთხარი სახეაწითლებულმა.

— როგორ თუ არ დაგიშავებია! ჯერ ერთი — ეზოში უნებართვოდ შემოდი, მეორე — ჯიხურის მინა კინაღამ ჩამიმტვრიე, — აყვირდა მოხუცი, მაგრად შემანჯღრია და ჯიხურში შემიყვანა, მერე ქუჩაში გასასვლელი კარი ჩაკეტა, ისევ ჯიხურში შემოვიდა და, იმდენი მეჩხუბა და მედავა, რომ ტირილი დავიწყე...

ბოლოს, გატრიალდა, კარი გამოაღო, ბურთი გარეთ გაისროლა, კინწის კვრით ქუჩაში გამომაგდო და მომაძახა:

— კიდევ თუ გაბედე, იცოდე, კარგ დღეს არ დაგაყრი.

ბურთი ბიჭებს მივუტანე. მე ისე გაბრაზებული ვიყავი, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შემეძლო და შინისკენ წავედი. ფაბრიკის ეზოს რომ მივუახლოვდი, ჯიხურს დიდი ქვა ვესროლე და მოვკურცხლე. მოხუცი მაშინვე გამოვარდა გარეთ და ყვირილით დამედევნა. აბა, რას დამეწეოდა!..

იმ დღიდან მოხუცს თვალის დასანახად ვეჯავრებოდი. მე კი არა და — ჩემი ამხანაგებიც შეიჯავრა: ყველას უსაქმურებად გვთვლიდა.

იმ დღეებში მოხუცს ვიღაცამ ორლულიანი თოფი მოპარა. ღამით ვიღაცამ ჯიხურს ქვები დაუშინა. ვატყობდი, ჩემზე ჰქონდა ეჭვი, მაგრამ თქმით ვერ მეუბნებოდა.

სულ იმის ფიქრში ვიყავი, — როდის მომეცემოდა საშუალება — მოხუცისთვის დამემტკიცებინა, რომ მე არაფერ შუაში არა ვარ.

ერთხელ, იორამთან რომ მივდიოდი, მოხუცი გზაში შემომხვდა, აღმართზე ამოდიოდა, ხელში სანოვაგით სავსე ჩანთა ეჭირა, იღლიაში კი ქაღალდის დიდი შეკვრა ჰქონდა ამოჩრილი. კარგა რომ მომიახლოვდა, ქაღალდები იღლიიდან დაუცურდა და მიწაზე დაუვარდა. სანამ დაიხრებოდა, — დავწვდი და მივაწოდე, ვიფიქრე — ახლა მაინც გამომელაპარაკება-მეთქი. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ — არც კი შემოუხედავს, ისე გამშორდა.

მეორე დღეს ფაბრიკის წინ ჩავიარე. ჯიხურს რომ მივუახლოვდი, მოხუცი დიდ რკინის ჭიშკარს ექაჩებოდა, მაგრამ ვერ აღებდა; მივირბინე, მივეხმარე და ჭიშკარი გავაღეთ.

ხმა არ გაუცია, მადლობაც კი არ უთქვამს. შოფერს ხელით ანიშნა, — შემოიყვანე მანქანაო, — და გვერდზე გადგა.

მძღოლმა მანქანა დასძრა და ეზოში შემოიყვანა. მე ჯიხურის წინ დავდექი. ამ დროს, საამქროს უფროსი დავითიც მოვიდა, დარაჯს მიეშველა და ჭიშკარი დაკეტეს.

მოხუცი მობრუნდა და ბრაზიანად შემომხედა.

— აბა, აქ რას უდგეხარ, ჩქარა—ეზოდან გადი! —მითხრა მწყრალად.

რაღას ვიზამდი — ეზოდან გავედი...

...არდადეგები რომ დაიწყო, ბიჭები ზოგი სად წავიდა და ზოგი — სად. მე ქალაქში დავრჩი. იორამიც სოფელში იყო წასული და მის უბანში მთელი ზაფხულის განმავლობაში არ გამივლია. არც ის მოხუცი მინახავს.

დადგა სექტემბერი.

იმ წელს ახალი, სპეციალური საგანი მოგვემატა — შრომის გაკვეთილი. ხელობა ავეჯეულობის დამამზადებელ ფაბრიკაში უნდა გვესწავლა. მე ეს ძლიერ გამეხარდა. ახლა ხომ თავისუფლად შევიდოდი ფაბრიკის ეზოში! რაღას იზამდა ის ავი დარაჯი! და აი, ერთ დღეს, მასწავლებელთან ერთად, ფაბრიკის ეზოს მივადექით. ჩვენი ნაცნობი მოხუცი ავად გამხდარიყო და მის ნაცვლად სხვა დარაჯი დაგვხვდა... მას მომღიმარე, კეთილი სახე ჰქონდა.

შევედით სამქროში.

მასწავლებელმა სამქროს ოსტატები გაგვაცნო; ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ იმ დღეს...

საქმეს გულით მოვეკიდეთ; ზოგ რამეს საკუთარი ხელით ვაკეთებდით და ოსტატებიც კმაყოფილნი იყვნენ...

ერთ დილით, კარი რომ შევაღე, წინ ჩემი ნაცნობი მოხუცი გადამიდგა, მე ჯიბიდან საშვი ამოვიღე და გავუწოდე. მოხუცმა გამომართვა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, მერე გაშალა და სურათსაც დააკვირდა. უხმოდ დამიბრუნა საშვი, ამხედ-დამხედა და რაღაცა ჩაიბუზღუნა.

გადიოდა დღეები...

შესვენების საათი რომ დამთავრდებოდა, მუშები საამქროებში გაიკრიფებოდნენ, მოხუცი სკამზე წამოსკუპდებოდა და ყალიონს გააბოლებდა; ჯდომა რომ მობეზრდებოდა, ჯიხურში შეიიდოდა და იატაკის წმენდას დაიწყებდა, ხან გაცვეთილ ფეხსაცმელს აკერებდა, ხან კი ჯიხურთან იჯდა და დაბალ ხმაზე ღიღინებდა.



ერთ დღეს ავეჯის წასაღებად დიდი სატვირთო მანქანა შემოვიდა ეზოში. ვიღაცას ძელსკამი გზისპირას გაეტანა და იქ დაედგა. მძღოლმა სკამი ვერ შეამჩნია, მანქანა დააჯახა და ნამტვრევებად აქცია.

აყვირდა მოხუცი, — სანამ ახალ სკამს არ მოიტან, ეზოდან არ გაგიშვებო. ხმაურზე მუშები მოგროვდნენ, საამქროს უფროსიც მოვიდა და მოხუცი ძლივს დააშოშმინეს.

ცოტა ხნის შემდეგ საამქროს უფროსი ჩვენთან შემოვიდა და გვითხრა:

— აბა, ბიჭებო, სახელდახელოდ სკამი უნდა გააკეთოთ!

ჩვენ მაშინვე დავტრიალდით, ზოგმა ხერხი მოვიმარჯვეთ, ზოგმა ჩაქუჩი და — სკამი შუადღისას უკვე მზად იყო, დავავლეთ ხელი — ერთმა ერთ თავში, მეორემ — მეორეში, ეზოში გავიტანეთ და ძველი სკამის ადგილას დავდგით.

მოხუცმა გადმომხედა, მაგრამ თქმით არაფერი არ უთქვამს.

საღამოს, ეზოდან გასვლისას, საამქროს უფროსმა მოხუცს გაუღიმა და უთხრა, — როგორ მოგწონს ჩვენი ბიჭების გაკეთებული სკამიო. მოხუცი გაოცებული შემოგვყურებდა. აბა რა იყო აქ გასაოცებელი, მაგრამ მართლა უცნაური კაცი იყო ჩვენი დარაჯი!

რამდენიმე დღის შემდეგ კარადის გაკეთებაც დაგვავალეს, — თურმე მოხუცისთვის უნდა დაედგათ ჯიხურში. კარადის გაკეთება მე ვიკისრე.

საქმით ვიყავი გართული, როცა საამქროში მოხუცი შემოვიდა:

— ბიჭოს, შენ აკეთებ კარადას?! — წამოიძახა აღტაცებული ხმით.

— მაშ. ეს აკეთებს, ყოჩაღი ბიჭია, ხელობა მალე ისწავლა, ამხანაგებიც კარგი ჰყავს, — უთხრა ოსტატმა.

მოხუცმა აღარაფერი თქვა, იდგა მდუმარედ, თითქოს რაღაც უნდა გაიხსენოსო, ცოტა ხნის შემდეგ კი გაიღიმა, ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— შენ... რა კარგი ბიჭი ყოფილხარ!

მეორე დღეს, შესვენებაზე, საამქროდან გამოვედი. ჯიხურის წინ, სკამზე, მოხუცი იჯდა, გარშემო მუშები უსხდნენ. რაღაცას გაღიმებული ჰყვებოდა. მუშები ხმამაღლა იცინოდნენ; უცებ ჩემსკენ მოიხედა, საუბარი შეწყვიტა და ხელი დამიქნია:

— მოდი აქ, რაღაცას ვყვები და მომისმინე.

მივხვდი, ჩემზე ჰყვებოდა! — ძალიან მეჩქარება-მეთქი, მოვუბოდიშე და ეზოდან გავედი.

— აი, ეს არის ის ბიჭი! — კარგად გავიგონე მოხუცის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები და კმაყოფილმა განვაგრძე გზა შინისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზეცა ბრწყინავს

ჭამე მეზურიშვილი

გაზაფხული ვერ ეტევა თავის აკვანში, —
დაივიწყეს ზამთრის სუსხი, ზამთრის სიმწარე;
ზეცა ბრწყინავს,
ზეცა ბრწყინავს,
როგორც ბაღახში,
და კვირტებში იმმუშნება მზე და სიმწვანე.
თოვლის შემდეგ,
წვიმის შემდეგ,
მშვიდი ამინდი
უხარიათ ვარდებს, იებს, ჭადრებს დიდრონებს...
და ბავშვების ყიჟინი და ხმა მიამიტი
აცოცხლებს და ახალისებს ცვრიან მინდორ-ველს.
ნაკადული აღუღუნდა, როგორც სამტრედე,
ტირიფების წითელ ძირებს ართობს რაკრაკით,
ეზო-ეზო ქათმებს ქორის ჩრდილი აფეთებს
და ირწევა თეთრი ნისლი, როგორც ჰამაკი.
ატოკებს და ანანავებს გრილი ზეფირი
ალვის ხეებს, ვაშლის ხეებს,
თელებს, იელებს...
გაზაფხულდა!..
სითბო ამსხვრევს ყინვის ჯებირებს—
საქართველოს ემატება სიმშვენიერე.




განყოფილებას მიუძღვის
დოცენტი აკაკი გუნცაძე.

## ზაფხულში თბილი წყლის გაცივება

უყინულოდაც შესაძლებელია წყლის გაცივება, განსაკუთრებით კი ზაფხულში, როდესაც მეტად ცხელა და თბილი წყალი წყურვილს არ გიკლავთ...

აიღეთ განიერი ქილა და შიგ ჩაასხით ამონიუმის ნიტრატის ანუ ამონიუმის გვარჯილის ნაჯერი ხსნარი. ამ ხსნარიან ქილაში ჩადგით თბილი წყლით სავსე მინის თხელკედლიანი კოლბა ან ჭიქა. რამდენიმე წუთის შემდეგ წყალი გაცივდება.

ეს ცდა მეტად საინტერესო და ბევრი კითხვის აღმძვრელია; ზოგი მარილის წყალში გახსნისას ადგილი აქვს სითბოს შთანთქმას, ზოგის გახსნისას კი პირიქით — სითბოს გამოყოფას. პირველი პროცესი შეგვიძლია გამოვიყენოთ ხელოვნური ყინულის დასამზადებლად. ამონიუმის გვარჯილის ხსნარი შეგვიძლია ავაორთქლოთ და მისგან დარჩენილი მარილი კვლავ გამოვიყენოთ წყლის გასაცივებლად.

## ფერწერა ქაღალდზე

ყვითელი ფერის სახატავ ქაღალდზე სპილენძის ბრომიდის ხსნარით დახატეთ ხეები, ბალახი და ბუჩქები, შემდეგ ნახატს წაუსვით კობალტის ქლორიდის ხსნარი — ნახატი მწვანე ფერს მიიღებს. თუ ნახატზე ცა და წყალია გამოსახული, მას წაუსვით კობალტნიტრატის ხსნარი და მიიღებს შესაბამის ფერს. თუ ნახატიან ქაღალდს გააშრობთ ღუმელზე — სურათი ბუნებრივი ფერებით შესრულებულს დაემგვანება.

## ფერწერა ფიცარზე

მცირე რაოდენობის გოგირდმჟავა ანილინი გახსენით თბილ წყალში — ხსნარს ექნება მკრთალი, მწვანე ფერი; ამ ხსნარით ფიცრის პრიალა ზედაპირზე დახატეთ რამე—ნახატი გაშრობის შემდეგ მიიღებს მკაფიო ყვითელ ფერს.

სპირტში გახსნილი ფლორგლიუტინით შესრულებული ნახატი გაშრობისთანავე ქრება, ხოლო თუ ნახატს დავასველებთ მარილმჟავას სუსტი ხსნარით, მაშინ ნახატი ჟოლოს ფერს მიიღებს.

## ძველი გამუქებული სურათების რესტავრაცია

ისტორიული ძეგლის კედლებზე სურათების დასახატად წინათ ხმარობდნენ ტყვიის თეთრას და ტყვიისავე საღებავებს. ასეთი საღებავებით შესრულებული სურათები შავდება და კარგავს ყოველგვარ პეწს; გაშავების მიზეზია ჰაერში მცირე რაოდენობით მყოფი გოგირდწყალბადი, რომელიც იწვევს სურათის ძალზე გამუქებას, რადგან ამ დროს წარმოიქმნება შავი გოგირდოვანი ტყვია. მისი გათეთრება-რესტავრაცია (აღდგენა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება წყალბადის ზეჟანგით, რომელსაც შავი გოგირდოვანი ტყვია გადაჰყავს თეთრ გოგირდმჟავა ტყვიაში.

ალბათ შემჩნეული გექნებათ, რომ თუ დრო და დრო ვერცხლეული ცარცით არ გაწმინდეთ, მასაც შავი ფერი ეძლევა, რაც გამოწვეულია ჰაერში შემავალი გოგირდწყალბადით; გოგირდი ჩვეულებრივი ტემპერატურის დროს მოქმედებს ვერცხლზე და იწვევს მისი ფერის შეცვლას.

## წყლის მინადუღის მოცილება

ჭურჭლის შიგა კედლებზე მინადუღი წარმოადგენს მაგარ, მკვრივ მასას, რომელიც შეიცავს მარილებს. მისი წარმოშობის ძირითადი მიზეზია ხამი წყლის გამოყენება, რომელიც შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს და სხვა მარილებს. დუღილის დროს ხამი წყალი ჭურჭლის კედლის ზედაპირზე გამოჰყოფს უხსნადი მარილების ნალექს.

მინადუღი ამცირებს ჭურჭლის კედლების თბოგამტარიანობას, იწვევს ჭურჭლის დაწვას და საწვავის გადახარჯვას.

მინადუღის მოსაცილებლად არსებობს მექანიკური და ქიმიური წმენდა. პირველი წესი არ არის რეკომენდებული, რადგან ამ დროს შესაძლებელია ჭურჭლის მინანქრის დაზიანება.

უკეთესია მინადუღის მოცილება მოხდეს ქიმიური საშუალებით. ამისათვის იყენებენ მარილმჟავას და ძმარმჟავას პროცენტულ ხსნარს, იმის მიხედვით, თუ რა სისქისაა მინადუღი.

თუ მინადუღის ფენის სისქე 0,5 მილიმეტრია, მაშინ საჭიროა სამპროცენტიანი ხსნარი; თუ მინადუღის სისქე 1,5-2,5 მილიმეტრია, — მაშინ ხმარობენ ექვსპროცენტიან ხსნარს.

მინადუღის მოშორების შემდეგ ჭურჭელს სოდის ხსნარით გარეცხავენ და შემდეგ გამოავლებენ ცივ წყალს.

## საჭირო რეაქტივები

1. ამონიუმის ნიტრატი (ამონიუმის გვარჯილა)
2. სპილენძის ბრომიდი
3. კობალტის ქლორიდი
4. კობალტნიტრატი,,
5. გოგირდმჟავაანილინი
6. ფლორგლიუტინი
7. ეთილის სპირტი (ღვინის სპირტი)
8. მარილმჟავა
9. წყალბადის ზეჟანგი.







## ხახვი

მაცივარში თუ ცუდი სუნი დგას, ხახვის ბოლქვები შეაწყე და სუნი იმწამსვე გაქრება.

ფერად ფეხსაცმელს თუ ლაქა დააჩნდა, ხახვი წაუსვი და მოაცილებს.



## მარილი

მარილი რომ საკვებია—ყველამ იცის, მაგრამ იშვიათად თუ იცის ვინმემ, რომ მარილი სხვა მიზნითაც გამოიყენება.

მუქი აბრეშუმი და ტაფტა ინარჩუნებენ თავიანთ ბუნებრივ ფერსა და ბრწყინვალებას, თუ მარილიან წყალში გავავლებთ (ერთ ვედრო წყალზე—250 გრამი მარილი).

თუ სუფთა ქალალდზე ცოტა მარილს მოაყრი და ზედ ცივ უთოს გაუსვამ, უთოს ფსკერი წამში გაპრიალდება.

თუ ქვაბმა ფსკერზე მიიწვა, ჩაყარე შიგ მარილი და იოლი გასაფხეკი იქნება.

თუ დანას წინდაწინ, ნახევარი საათით, მარილხსნარში ჩადებ, მერე ადვილად გაილესება.

თუ ნელლი შეშა არ იწვის, შეგიძლია ცოტაოდენი მარილი მოაყარო და ცეცხლი იმწამსვე აბრიალდება.



## ნიშადურის სპირტი

ნიშადურის სპირტით შეიძლება იოდის ლაქის ამოყვანა.

თუ თეთრეულის გაქათქათება გინდა, ერთ ვედრო წყალში ერთი კოვზი ნიშადურის სპირტი შეურიე.

თუ გსურს, ნიკელისა და ვერცხლის ნაკეთობანი ბზინავდეს, გაწმინდე ნიშადურში დასველებული შალის ნაჭრით.





# ლომონოსოვი

### გარდაცვალების 200 წლისთავი

რუსული მეცნიერების ფუძემდებელი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი დაიბადა 1711 წლის 19 ნოემბერს, არხანგელსკის გუბერნიაში, სოფელ დენისოვკაში (ამჟამად ლომონოსოვო), ზღვისპირელი გლეხის ოჯახში. მიხეილის მამა, მეთევზეობასთან ერთად, სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა. პატარა მიხეილს დედა ადრე გარდაეცვალა, ამიტომ იგი ბავშვობიდანვე ჩაება მძიმე ოჯახურ საქმიანობაში. ახალგაზრდა მიხეილი გვერდში ედგა მამას და ხშირად დადიოდა მასთან ერთად თევზის სარეწებზე.

პატარა მიხეილმა ადრე ისწავლა წერა-კითხვა; წიგნი მისი განუყრელი მეგობარი გახდა. ცოდნის შეძენის დიდმა წყურვილმა შეაძლებინა მას ზეპირად შეესწავლა მაგნიცკის „არითმეტიკა" და სმოტრიცკის „გრამატიკა"... მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა და, დეკემბრის ერთ სუსხიან ღამეს, 19 წლის ჭაბუკი, მამის ნებართვის გარეშე, ნასესხები სამი მანეთის ამარა, ფეხით გაუდგა არხანგელსკ-მოსკოვის გრძელ გზას. დიდი წვალების შემდეგ იგი მოსკოვში ჩავიდა და 1731 წლის იანვარში ძლივს მოეწყო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში. აქ მიხეილს საშინელ პირობებში მოუხდა ცხოვრება, დღეში 3 კაპიკი ეძლეოდა, რაც მას მხოლოდ პურისა და ბურახის საყიდლად თუ ყოფნიდა. მიუხედავად ცუდი ეკონომიური პირობებისა, ლომონოსოვს თავისი არაჩვეულებრივი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა. როგორც სანიმუშო სტუდენტი, 1736 წელს იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში გადაიყვანეს, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე გერმანიაში გაგზავნეს ცოდნის გასაღრმავებლად.

1741 წელს ლომონოსოვი სამშობლოში დაბრუნდა. 1745 წელს კი იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქიმიის პროფესორად დანიშნეს, სადაც საოცრად მრავალმხრივი და ღრმა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა გაშალა. ლომონოსოვი მეცნიერების 12 დარგის ფუძემდებლად ითვლება, მაგრამ თავის ძირითად პროფესიად მას მაინც ქიმია მიაჩნდა. ლომონოსოვი მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი მეცნიერი იყო; მის კალამს ეკუთვნის 140-მდე შრომა მეცნიერების სხვადასხვა საკითხზე. არ დარჩენილა მეცნიერებისა და კულტურის თითქმის არც ერთი დარგი, რომელშიაც მას გადატრიალება არ მოეხდინოს. იგი ეკუთვნოდა მოაზროვნეთა შორის იმ ტიტანებს, რომლებსაც ფრ. ენგელსი „აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით" ბუმბერაზებს უწოდებს.

ღრმა მეცნიერულ შრომასთან ერთად ლომონოსოვი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1748 წელს ლომონოსოვის თავგამოდებული ბრძოლის შედეგად დაარსდა რუსეთში პირველი სამეცნიერო-საკვლევი და სასწავლო-ქიმიური ლაბორატორია, რომელიც პირველი იყო მსოფლიოს მასშტაბითაც. მისივე დაჟინებითი მოთხოვნით 1755 წელს მოსკოვში გაიხსნა პირველი რუსული უნივერსიტეტი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. საინტერესოა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში მ. ლომონოსოვთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს ვახტანგ მეექვსის შვილმა ვახუშტი ბაგრატიონმა და ლ. მარუაშვილმა.

მ. ლომონოსოვის სანუკვარი ოცნება იყო — ახალგაზრდობა დაწაფებოდა სწავლა-განათლებას, დაუფლებოდა მეცნიერების ცალკეულ დარგებს, მის მწვერვალებს.

მან მთელი თავისი სიცოცხლე და მოღვაწეობა სამშობლოს მიუძღვნა. სიკვდილის წინ ლომონოსოვმა აკადემიკოს შტელინს უთხრა: „მეგობარო, მე ვხედავ, ვკვდები და დამშვიდებული შევცქერი სიკვდილს; ვნანობ მხოლოდ იმას, რომ ვეღარ აღვასრულე ყველაფერი, რისი გაკეთებაც მსურდა სამშობლოსათვის, მეცნიერებათა გასამდიდრებლად და აკადემიის დიდებისათვის... და ახლა, ჩემი სიცოცხლის დასასრულს, მე ვხედავ, ყველა ჩემი სასარგებლო სურვილი ჩემთან ერთად გაქრება".

მიხეილ ლომონოსოვი გარდაიცვალა 1765 წლის 4 აპრილს.

განუზომელია მ. ლომონოსოვის დამსახურება, როგორც რუსული, ისე მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ისტორიაში.

**ვ. გეგუჩაძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



**მ. ვ. ლომონოსოვის საფლავი ალექსანდრე ნეველის ლავრაში (ლენინგრადი)**

**ლეონიდ რადიუჩევის „მარად დაუვიწყარი“.**

ავტორმა ამ წიგნის დაწერისას ძირითადად გამოიყენა დოკუმენტური მასალები, რომელთა საფუძველზე გადმოგვცა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება სახე დიდი ბელადისა, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ადამიანთა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეეწირა.




**„ხალხური სიბრძნის“**
მეოთხე ტომი, რომელშიც შესულია ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. წარმოდგენილი ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში მოთარეშე უცხო ტომთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები.

კრებულში შეტანილ ზოგიერთ ლექსს მღეროდნენ და მღერიან ხალხური საკრავების თანხლებით. კრებული შეადგინა პროფესორმა ქ. სიხარულიძემ, მხატვრულად გააფორმა ე. ამაშუკელმა.




**მონტეირუ ლობატუს „ყვითელი კოდალას ორდენი“.**

ემილია დიდედა პენტას პატარა სახლში ცხოვრობს. მისი მეგობრები არიან ბიჭი პედრინიო და გოგონა ცხვირპაჭუა.

საიდან გაჩნდნენ და ვინ არიან ისინი? ყოველივე ამას თქვენ გაიგებთ, როცა ამ წიგნს ბოლომდე წაიკითხავთ.









მცენარეთა შორის სწრაფად ზრდის ჩემპიონად დღემდე ბამბუკი ითვლებოდა — იგი დღეღამეში 80 სანტიმეტრს მატულობს. ამას წინათ აღმოაჩინეს, რომ კალიფორნიის სანაპიროების ზოგიერთი წყალმცენარე დღეღამეში 50 სანტიმეტრით იზრდება.

სამხრეთ ამერიკაში აღმოაჩინეს უცნაური მცენარე — სელაგინელა, რომელიც გვალვის დროს ამოაძრობს მიწიდან ფესვებს, შეიკვრება ბოლქვად და ქარს გაჰყვება. იგი მანამ იგორებს, სანამ ნოტიო ადგილს არ წააწყდება, აქ კი ფესვებს გაშლის და მიწაში ჩაიზრდება.

თანამედროვე მოსიარულე ექსკავატორი დღეში 10 ათას კბმ მიწას თხრის და ას მეტრზე გადააქვს. ერთ მიწისმთხრელ ადამიანს ამ სამუშაოს შესასრულებლად... 500 წელი დასჭირდებოდა.

დედამიწის ზურგზე 500 ათასი სხვადასხვა მცენარეა, მაგრამ ადამიანი მხოლოდ 23 ათასი სახეობით სარგებლობს (სოფლის მეურნეობაში კი მხოლოდ 600-ით). ცხოველთა სამყარო უფრო მდიდარია: იგი ორ მილიონ სახეობას ითვლის, აქედან ადამიანისათვის სარგებლობა მხოლოდ 50 ათასს მოაქვს.

100 გრამი თაფლის მოსაგროვებლად ფუტკარს 190 ათასი ყვავილის ნექტარი სჭირდება.



დააკვირდით ამ სურათს და გაეცით პასუხი აქ დასმულ კითხვებს:

1. რომელი ნაგებობაა ფოტოსურათზე გამოსახული?

2. როდის არის იგი აგებული და რა იცით მის შესახებ?

3. ვინაა ავტორი აქ გამოსახული ვ. ი. ლენინის ცნობილი ქანდაკებისა?

## პასუხი «პიონერის» № 2-ში დასმულ კითხვებზე

1. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ცნობილი ისტორიული ძეგლის — ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

2. ბაგრატის ტაძარი მდებარეობს ქუთაისის ძველ უბანში, უქიმერიონის გორაზე.

3. ბაგრატის ტაძრის აგება X საუკუნის ბოლოს გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ მესამემ დაიწყო და XI საუკუნის პირველ წლებში დამთავრდა.

4. ქუთაისი, როგორც ფეოდალური ქალაქი, X-XI საუკუნეებში განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ეს კიდეც აღინიშნა გრანდიოზული კათედრალური ტაძრის აგებით. უკვე მაშინ, როცა ბაგრატის ტაძარი აგეს, თანამედროვენი გრძნობდნენ, რომ ნაგებობა გამოირჩეოდა თვისებებით „მიუწვდომელითა“.

X საუკუნიდან, როცა დასაბამი მიეცა საქართველოს ცალკე კუთხეების გაერთიანების დიდ ისტორიულ საქმეს, ქუთაისი ჩვენი ქვეყნის ფაქტიურ დედაქალაქად იქცა. აქ ედგათ ტახტი და ეპყრათ სკიპტრა საქართველოს გაერთიანებისათვის ისეთ დიდ მებრძოლ მეფეებს, როგორიც იყვნენ ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელი. ცხადია, ამ დროს უქიმერიონის ციხის სტრატეგიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უფრო მეტად გაიზარდა.

შვიდი საუკუნის მანძილზე ბაგრატის ტაძარი დაუზიანებლად იდგა და თავისი მშვენებითა და სიდიადით ხიბლავდა მნახველს. მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულში თურქმა მოძალადეებმა მოახერხეს ქუთაისის ციხის ხელში ჩაგდება, ააფეთქეს და ნანგრევებად აქციეს ბაგრატის ტაძარი.

დარბეული ტაძარი 1740 წლიდან ოსმალებმა იარაღის საწყობად აქციეს, ხოლო 1770 წელს, თურქებთან გააფთრებული შეტაკების დროს, ბაგრატის ტაძარი საბოლოოდ გასწორდა მიწასთან. ეს ასე მოხდა: რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოში გამოგზავნეს რუსეთის მხედრობა გერმანელი გრაფის — გენერალ ტოტლებენის სარდლობით. ერეკლე მეორესთან მომხდარი უსიამოვნების შემდეგ გენერალი თავისი ჯარით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ დროს სოლომონ პირველს, ცუცხვათისა და შორაპნის ციხეების აღების შემდეგ, ქუთაისის სიმაგრეებისათვის ალყა შემოერტყა. ამ გარემოებამ რუსეთის გენერალი აიძულა სოლომონთან ერთად ემოქმედნა. 1770 წლის ივლისში რუსთა კორპუსმა მონაწილეობა მიიღო ბაღდათის ციხის აღებაში. ამ ციხის აღებით მოიშალა თურქების კიდევ ერთი ბუნაგი და კიდევ უფრო გაადვილდა ოსმალთა ქუთაისიდან განდევნის საქმე. ქუთაისი კი თურქების ყველაზე მთავარი და უკანასკნელი დასაყრდენი იყო იმერეთში. ბრძოლა სასტიკი და ულმობელი იყო. მწვანე ყვავილას გორიდან რუსული არტილერიის ზარბაზნებმა გაახშირეს სროლა. უქიმერიონის სიმაგრეები ზანზარებდნენ. ციხის კედლებთან ერთად ინგრეოდა მის შიგნით მდებარე სხვა ნაგებობანი და მათ შორის ბაგრატ მესამის დროინდელი ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს სწორუპოვარი ქმნილება. ამ ბრძოლების შედეგად 1770 წლის 9 აგვისტოს თურქები საბოლოოდ განადგურდნენ. 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის ნაწილსაც ზემოხსენებული ბრძოლა წარმოადგენდა. ზავის პირობების თანახმად, დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის მფლობელობაში დარჩა, მაგრამ ეს ძირითადად ქვეშევრდომობასა და გავლენის სფეროში ყოფნას გულისხმობდა მხოლოდ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბაგრატის ტაძარი კულტურის ისტორიულ და მხატვრულ ძეგლად გამოცხადდა. იქ ახლა სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

* * *

სწორი პასუხები გამოგზავნეს თბილისის 75-ე საშუალო სკოლის X კლ. მოსწავლემ ნელი მახარაძემ და XI კლ. მოსწავლემ ნანა ჩაჩუამ, თბილისის მე-10 საშუალო სკოლის VIII კლ. მოსწავლეებმა გიორგი მეტრეველმა, მერი ბერაძემ და მანანა გოგინაშვილმა.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ვ. ი. ლენინი რაზლივში“, ნახატი ბურამ გელოვანისა.

რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрос редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.

გამომცემლობა «ნაკადული». უე 03054 ტირ. 41.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.

ხელმოწერ. დასაბ. 19/III-65 წ. სტამბის შეკვ. 615. გამომც. შეკვ. 82. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი




# ბუმერანგი

ბუმერანგი — ავსტრალიის მკვიდრთა იარაღია. მას კენგურუსა და ფრინველებზე სანადიროდ ხმარობდნენ.

ბუმერანგი 90—140 გრადუსამდე მოხრილი ჯოხია, რომლის ერთი მხარე გლუვია, მეორე — ამობურცული. მისი განივკვეთი თვითმფრინავის ფრთის პროფილს მოგვაგონებს. ბუმერანგის ზომა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ რაზე ნადირობდნენ ამ იარაღით. მაგალითად, კენგურუზე სანადირო ბუმერანგი ერთ მეტრზე მეტი იყო, ხოლო ფრინველზე სანადირო ბუმერანგის სიგრძე 80-55 სანტიმეტრს არ აღემატებოდა.

თუ ბუმერანგი მიზანს არ მოხვდა, იგი უკან უბრუნდება მსროლელს. როცა ევროპელები ავსტრალიაში ჩავიდნენ, ძლიერ დაინტერესდნენ ბუმერანგის ამ თვისებით, მაგრამ სროლის ხელოვნებას ძნელად ითვისებდნენ და კარგა ხანს ვერ ხსნიდნენ ბუმერანგის ქროლვის „საიდუმლოს". მხოლოდ ახალმა მეცნიერებამ, — აეროდინამიკამ შესძლო ფარდა აეხადა ბუმერანგის „საიდუმლოებისათვის". სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ბუმერანგის ქროლვა დამოკიდებულია იმავე კანონებზე, რომლებზედაც დამყარებულია თვითმფრინავის, ვერტმფრენისა და პლანერის ფრენა ჰაერში.

ამჟამად ბუმერანგი მხოლოდ სპორტული შეჯიბრებებისათვის გამოიყენება.

* * *

პირველ ნახატზე ნაჩვენებია სპორტული ბუმერანგი. აქ ნათლად ჩანს, რომ ბუმერანგის მხარეები სხვადასხვა სიგრძისაა. ისინი ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც 5 : 6.

ბუმერანგის დამზადება ასე იწყება: მისი ნახაზი საკოპირო ქაღალდით ფირფიცარზე (ფანერზე) უნდა გადავიტანოთ (ნახ. 2). საუკეთესო მასალად ითვლება 10 მილიმეტრი სისქის საავიაციო ფირფიცარი. თუ ასეთი მასალა არ გაგვაჩნია, — შეიძლება გამოვიყენოთ წყალგამძლე წებოებით ბთ-2 ან აკ-20 ერთმანეთზე დაწებებული თხელი ფირფიცარი.

კარგი ბუმერანგი მზადდება მაგარი ხის ჯიშის ძელაკისაგან, რომელიც წინასწარ უნდა გამოიხაროს ისე, როგორც ეს მე-4 ნახაზზეა ნაჩვენები. და ბოლოს, ბუმერანგი შეიძლება გაკეთდეს მაგარი ხის ჯიშის ბუნებრივად მოხრილი ტოტისა ან ფესვისაგან (ნახ. 5).

როცა მასალა ზუსტად ნახაზის მიხედვით, ბეწვახერხით გამოიჭრება (ნახ. 6), იგი უნდა გადაიხაზოს ორივე მხარეს ა-ა, ბ-ბ, გ-გ, და დ-დ ხაზებით, რომლებიც საჭიროა ბუმერანგის შემდეგი დახვეწისათვის. ამის მერე იწყება მასალის დამუშავება ჯერ შალაშინით (ნახ. 7), შემდეგ ქლიბით.

იმისათვის, რომ ბუმერანგის მხარეების განივკვეთი ზუსტად ემთხვეოდეს ნახაზს, საჭიროა ბუმერანგის ამობურცულ ზედაპირზე, გადაკვეთის ხაზებს შორის მოქცეული ადგილებისათვის (ა-ა, ბ-ბ და ასე შემდეგ) დამზადდეს შაბლონები (ნახ. 8), რომელთა მიხედვით სწორდება და იხვეწება ბუმერანგის მხარეები.

ამის შემდეგ საჭიროა ბუმერანგის გაწონასწორება. ამისათვის იღებენ მაგარ ძაფს (ნახ. 9). ძაფს გამოდებული ბრეზენტი გვიჩვენებს ბუმერანგის მხარეების წონას, რომელიც 125-დან 200 გრამამდე მერყეობს. თუ ბუმერანგის რომელიმე მხარე გადაწონის, საჭიროა მისი გაწონასწორება. ეს შეიძლება ამგვარად: შედარებით მსუბუქი მხარის ბოლოს გაიბურღება პატარა ნასვრეტი, რომლის ბოლოები გაფართოვდება ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მე-10 ნახაზზე, და მასში მჭიდროდ ჩაიჭედება ტყვიის პატარა ნაჭერი; კარგია თუ მას ცოტაოდენ წებოს — ბფ-2 ან აკ-20 წავუსვამთ.

ყოველივე ამის შემდეგ იწყება ბუმერანგის საბოლოო დამუშავება, მინის ნატეხით ან ზუმფარათი. გასუფთავების შემდეგ ბუმერანგი უნდა შეიღებოს ემალის ან ზეთის საღებავით.

ვიდრე თქვენ ამ წესით ბუმერანგს დაამზადებდეთ, ჩვენი ჟურნალის მორიგი ნომერიც გამოვა. იქ კი, დაწვრილებით იქნება მოცემული ბუმერანგის სროლის წესები.






ИНДЕКС 76157

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. სეროვი.
მიკა მოროზოვის პორტრეტი



დიეგო ველასკესი
დონ ბალთაზარ კარლო



ლეონარდო და ვინჩი.
მონა ლიზა ჯოკონდა